


შინაარსი


ჟურნალ „ჯეჯილისა“

88

I. მერცხალი და ბავშვი (ლექსი) შ. მღვიმელისა	3
II. ლიზა (ამბავი) ქეთო ზარაფიშვილისა	5
III. ძმურათ გაყოფა (რუსულადან) გ. სხადციხელისა	11
IV. მტრედი (ამბავი) კ. ფრანისბირელისა	12
V. პატარა გმირი (თარგმანი) ან. წ — სს	17
VI. ხალხური ლექსი ჩაწერილი ა. ხაბუდიანისაგან	22
VII. ხარაბუზა და ჩხართვი (თარგმანი) ბ. ვაშაძისა	24
VIII. მინდვრის თავგები (ამბავი) ან. წ — სს	25
IX. ხარისთვის უდიერი (ლექსი) ვაჟა-ფშაველასი	30
X. მოულოდნელი კავშირი (სურათი) ელ. წერეთლისა	33
XI. არღაში და ელიზბარი (თარგმანი) ეკ. მესხისა	48
XII. კოლბერი (ბიოგრაფია) ან. წ — სს	52
XIII. წვრილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ზმა, ანაგრამა, ჩქარა გამოსათქმელი, შარადა, რებუსი და სხვა	61

„ჯეჯილისა“ რედაქციამ უმოწილესათ სთხოვს ხელის
მომწერლებს, ვისაც ფული სრულათ არა აქვს შემოტანილი,
დაჩქარონ ფულის გამოგზავნა.





საყმაწვილო ნახატიებიანი ურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო..
ი. დ.

№ 1.

წელიწადი მეთექვსმეტი



თბილისი

სტამბა ექვთიმე ივანეს ძე ხელაძისა ლორის-მელიქოვის ქ.

1900



Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Октября 1900 г.

THE NATIONAL
ARTIST



ა. გომბაძე 1900

მერცხალი და ბავშვი

(გადმოკეთებული)



ითხარი, ჩემო მერცხალო,
ფრთა ცქვიტო, ალერსიანო,
სად მიხვალ, სად იძალები,
სამთრობით ჭიკჭიკ-სმიანო?!

აქ ბუდეს აგებ ხალისით
კოპწიათ, სუფთათ, რჩეულათ;
მთელ საფხულს ბუდობ, მერმე კი
სტოვებ მას ანახდელათ!

— მივალ იქ სადაც არ იცის
არც მკაცრი ვინვა, არც ქარი,
სადაც მზე ნათობს მუდამა,
და გასაფხულს ჰგავს სამთარი.

ზღვებს იქით არის ეს კუთხე,
კსა მისი შორეულია,
იქ სამთარ-საფხულ მთა-ბარი
სულ მწვანით მორეულია.

როცა აქ მიწას გაჭყინავს,
და თოვლი ჰფარავს არესა,

სასრდღო ილევა უეცრათ
 მინდვრებში ფოველ მხარესა.

იქ კი ბაღებს და ჭალებში,
 ტყეებში, მინდვრათ ველათა
 სჩუმელს ვმოულობ მუდამა
 სადაც კი გავალ სელათა.

და თუ შენ, ჩემო ჰატარავ,
 ჩემს ბუდეს, ჩემსა ბინასა,
 ცუდათ არ მიანგ-მოანგრევ,
 არ გადმომიგდებ უირასა.

გაზაფხულს ისევ აქ მოვალ
 ჭიკჭიკით, სრილ-ფურენითა
 და თქვენი სახლის გვირგვინსა
 ისევ ავაგსებ ღხენითა!..

შ. მღვიმელი.



ლიზა



ამთრის სუსხიანი დღე იყო. ლიზა იჯდა თავის ჰატარა ოთახში და საუ-სმეს შეეცდოდა. გარშემო სიჩუმი იდგა, მხოლოდ ხან-დან-ხან ქარი წამოუბერავდა ბუნარში და გაჭქონდა სუილი, აგრეთვე ისმოდა კედლის საათის განუწყვეტელი მუშაობაც. უცებ დერეფანში გაი-სმა ხარის ხშირი წკარუნის; ჰატარა ქაღმა უური დაუგდო, ძალე მოესმა ბავშვების ლაპარაკის ხმაც. „ვინ უნდა იყოს ნეტა“, გაიფიქრა ლიზამ და გაუიდა სასტუმროში.

— ლიზა, ლიზა, გამარჯობა შენი! ამ სიტყვებით მიეგებენ მას კარებშივე ორი ჰატარა ქალი, მოსჭიდეს ხელი, ერთი აქეთ ეწეოდა, მეორე იქით, ერთმანეთს აღარ აცლიდენ. — იცი რა, ლიზა, ჩვენ მოვედით ამისთვის, რომ მოგიწვიოთ შაბათისთვის ჩვენთან შეჯლიისზე; ოხ, რომ იცოდე რა მხიარულათ გაჯატარებთ დროს, ბევრი სტუმრუ-ბი გვეუოლება, ჩვენი კოლაც მოვა კორბუსიდან იმ ღლის-თვის, თავის ამხანაგებსაც მოგვიყვანს და ისინი ხომ უფრო გაგვამხიარულებენ.



ლიზას თვალები გაუბრწყინდა ამხანაგების კული სამხიარულოთ აუტოკდა, ხან დედას შეხედავდა და ხან თავის ჰატარს მეგობრებს.

— ახლა კი ჩვენი შინ დაბრუნების დროა, ძამ ჰირობას გვაძლევთ სომ, რომ უეჭველათ მოხვალთ ჩვენსა? შესძახეს ერთხმათ ბაღლებმა და კასწიეს კარებისკენ.

— მადლობელი ვართ, თუ მოვასწერნეთ წამოვალთ, — უპასუხა ლიზას მაგიერ მისმა დედამ.

— არა, არა, უნდა უეჭველათ მოხვიდეთ, მოგელოდებით, მანც კაიძასოდენ ლიზას ამხანაგები, უკვე ქუჩაში გასულნი.

— მე კარგათ ვიცი, ჩემო ჰატარავ, რომ ძალიან გინდა მათთან წასვლა და დროს გატარება, მაგრამ როგორ მოვასწერნოთ, არა გაქვს სეირიანი კაბა და ესეც იცოდე, რომ ჰენსიას ჯერ არ მივიღებ და რაც წარსული თვის ფული დარჩა ძლიეს საცხოვრებლათ გვეყოფა.

ამ სიტყვებზე ლიზას თვალები ცრემლებით ავესო.

— ნუ იღარდებ, ზვილო, — განაგრძო დედამ, დარდით საქმეს ვერ ვუშველით, აი სჯობია ვიანგარიშოთ მანცა-და-მანც რამდენი დაჯდება, რომ შევაკერვინოთ ახალი კაბა.

დიდ-ხანს თვალეს, იანგარიშეს დედაშვილმა, მაგრამ შვიდ-რვა მანეთზე ნაკლები ვერ გამოიყვანეს. ის იყო ლიზას უნდა გადაეწევიტა გუნებაში, რომ თავი დაენებებინა და აღარ ეფიქრა ამაზე, რომ სასინარულო აზრმა გაურბინა თავში.



— დედა, ალერსიანათ მიძარტა ლიზამ. — არ შეიძლება შენი ცისფერი გრძელი კაბა გადააკეთებინოთ ჩემთვის? დედამ მოუწონა ქალს ეს აზრი.

თქმა იყო და ასრულება. იმ დღესვე დაიბარეს ძველი და მისცეს კაბა გადასაკეთებლათ — რაც კი შეიძლებოდა იაფ-ფასათ. ლიზას სინარულს სახლვარი არ ჰქონდა. იმან ახლა უფრო ბეჯითათ დაუწყო გაკეთილებს მხადება. თავის ექვსი წლის ძმასაც არ აგდებდა უეუზადლებოთ, მიუჯდებოდა ახლოს, გადუძლიდა წიგნს და ჩახჩინებდა...

ყოველ დღე ეძაწვილი სიამოვნებით მოელოდა დაღამებას, ჩაწვებოდა ლოგინში თუ არა მიეცემოდა თავისუფლათ ოცნებებს თავის ცისფერ კაბასე და მოძავალ შაბათის დროს გატარებასე. — კაბა რომ ვერ მომისწრონ იმ დღისთვის, იმეორებდა თავისთვის ლიზა რამდენჯერმე, მიუხედავათ იმისა, რომ თვალები ესუჭებოდა ძილისთვის... ჰარასკეკ დღეს ლიზა დაბრუნდა გიმნაზიდან განარებული: რუსულ ენაში მიეღო კაი ნიშანი, ამას შედღამატა მეორე სინარული, ძველი ქალი ელოდებოდა სახლში კაბით ხელში. კაბა მშვენიერი გამოსულიყო და ძალიანაც უხდებოდა ლიზას სახესე. მთელ დღეს ამ ლამაზი კაბის ჰატრონს თითქმის არაფერი უჭამია; შერბოდა ძალ-ძალ ლიზა ოთახში, დაჭეურებდა კაბას, რომელიც დიდის მოწიწებით თითონვე გადაშალა სკამსე.

მე დამავიწვდა მეტკვა შენთვის, მიუბრუნდა დედა ლი-



ზას, რომ დღეს საღამოსე უნდა მოვიდნენ ჩვენსა მირიანა
ნიანი და არ ვიცი რათ დაიგვიანეს.

სტუმრებმა დიდხანს აღარ ალოდინეს, კარები გაიღო და შემოვიდნენ დედა-შვილი, ლიზამ მაშინვე წააგლო ხელი თავის სტუმარს—ჰატარა ქალს, ოლას, და წაიყვანა კაბის საჩვენებლათ; თან ცნობის მოყვარეობით ეკითხებოდა:—შენ რომელია კაბაში იქნები შაბათს საღამოსო, წინან-დეღს ჰირისფერში, თუ ახალს აკერვინებო? ოლამ სიამოვნებით შეატყობინა, რომ სხვა კაბას მიკერავენო, რადგანაც ჰირის-ფერი რამდენჯერმე მეცვებ და განახმარდაო. ჩაის სმის დროს ქალბატონმა მირიანმა შესჩვილა ლიზას დედას, რომ ვეძებ მასწავლებელ ქალს ოლასთვის და ვერსად მიმოვნიო. ამ ლაპარაკზე განახსენდა ლიზას დედას, რომამ ერთი კვირის წინ მასთან იყო ერთი ნაცნობი ახალგაზდა ქალი, რომელმაც სთხოვა მას, სადმე ოჯახში მასწავლებლის ადგილი ეშოვა და თავისი ბინაც დაუსახელა. ლიზას დედამ გადასცა ყოველივე ეს სტუმარს და ბინის დასანიშნავათ ქალადი აიღო.

საწერ-კალამის გამოსატანათ დედამ ჰატარა მიმოშეგზავნა მეორე ოთახში.

გავიდა კარგა ხანი, ბავშმა დაიგვიანა. ლიზა გაიქცა მის სანახავათ. უცებ გაისმა ევირილის ხმა და ლიზა გამოჩნდა ტირილით კარებში, გაცვივდენ ყველანი იქით და ნახეს, რომ ოთახის შუა ადგილას დგას თავჩადუნუ-

ლი პიშო და დარცხვენილი გამოიურება. ლიზას ფერი კაბა დევს იმავე ადგილს, მაგრამ თავიდან ბოლომდის მელანში ამოსვრილი. აღმოჩნდა რომ, როდესაც პიშო გამობრუნდა სამელნით ხელში, იქვე თვალი მოჰკრა დის ახალ კაბას და დაუწყო გულ-მოდგინეთ შინჯვა, რამაც ისე გაიტაცა, რომ მელნის წამოდგრა ავირავებული საწერლიდან ვერ შენიშნა. ლიზას მწუხარებას ბოლო არ ჰქონდა, კარგა ხანს ცრემლი არ შემშრალა მის თვალებზე, მისი კაბა მთლათ გაფუჭებული იყო და ახლის შეკერვის იმედი აბა სად ჰქონდა. ოლა უღვა გვერდით დაღონებული და ანუგეშებდა:—ნუ ტირი, კენაცვალე, დარდი, იქნება როგორმე ეშველოს შენ დარდს, მაგრამ ლიზა უურადლებას არ აქცევდა ამხანაგის სიტყვებს...

მეორე დღეს ლიზა დაღონებული დაბრუნდა სასწავლებლიდან. მას მიეგება კარებში დედა მხიარული ღიმილით და უთხრა: „წადი შენ ოთახში და ნახე რა საჩუქარი მოგივიდა.“ ბავში ფიცხლავ შევარდა ოთახში და დაინახა მშვენიერი თეთრი, არძიებით მორთული კაბა. სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა სიხარულით, იდგა და დაჰურებდა, თითქოს არ სჯეროდა ასეთი ბედნიერება.

— საიდან, ვინ გამოგზავნა, — დაეკითხა ბოლოს დედას, მაგრამ ამანაც არ იცოდა, ვისი გამოგზავნილი იყო ეს საჩუქარი. კაბა დილით ვალაც კაცმა მოიტანა ლიზას სახელობაზე და საჩქაროთ წავიდა...




დადგა სანატრელი შაბათი საღამოც და ჩვენსა და
 სამ, ახალ კაბაში გამოწყობილმა, მხიარულათ გასწია
 ამხანაგებთან დროს გასატარებლათ. როდესაც იქ დაინახა
 თავისი ამხანაგი ოლა ჰირის ფერ კაბაში, მაშინ მიხვდა,
 ვისგანაც იყო ეს ძვირფასი საჩუქარი.

ოლამ რომ ნახა იმსაღამოს ღიზას მწუსარება, როდესაც
 იმას კაბასე ძელანი დაუსხეს,—გარდასწვივტა გაეგზავნა
 მისთვის თავისი ახლათ შეკერილი თეთრი კაბა თითონ კი
 წასულიყო მეჯლისში ისევ წინანდელი ჰირის-ფერი კაბით
 და ძართლაც ასე მოიქცა...

ასე მხიარულათ კი არასოდეს არ ყოფილან ეს ორი
 ზატარა მეგობრები, როგორც ამ საღამოს.

ქეთო ზარაფიშვილისა.



ძმურათ გაყოფა

(რუსულიდან)



აზრიდან დაბრუნებულმა მამამ შვილებს
ქადა მოუტანა.

— ჰა, გამომართვი! უთხრა იმან
უფროს ვახს, ვასოს, და ქადა გაუ-
წოდა, — მაგრამ ჰეტოსაც გაუეხვი და
იცოდე, უეჭველათ გაუეხვი ძმურათ.


— მე რე როგორაა ძმურათ გაყოფა?
ჰკითხა მამას ვასომ.

— აი როგორ: ქადა უნდა შუა განს-
ტეხო, მოზრდილი ნაწილი ჰეტოს მის-
ცე და მცირედი კი შენ დაიტოვო. — უთხრა მამამ.

ვასო დაფიქრდა და მამას უთხრა:

— მამილო, ქადა შენ ჰეტოს მიეცი და უთხარე, რომ
იმან გამიუოს მე ძმურათ.

გ. ახალციხელი.



მტრედი

I




ათ, ჩემო ზატარა მკითხველო, კომკი რა არის? სოგს იქნება გენასოთ და სოგს კი, უეჭველია, არ გენასებათ. უწინ, როდესაც დაუძინებელი მტრები ესეოდენ ჩვენ ქვეყანას, საჭირო იყო ჩვენ ძამა ზანებს ისეთი შენობა გაეკეთებინათ, სადაც ძლიერი მტრებისგან თავის დაფარვა შესძლებოდათ. ამისთვის იკეთებდენ კომკებს, სვრელებს, ციხე-გაბლანებს და სვრეტდენ კლდეებს. კომკებს აშენებდენ ძალაღს და რგულათ მოუვანილს, და ამისთანა შენობებში ხალხი მტერს ეძალებოდა, ახლაკი ამ კომკებს კარებები ამოქოლილი აქეთ, რადგან მტრები აღარ შემოგვესევიან სოლმე. უზატრონოთ გდების გამო კომკეში ფრინველები ბუდობენ სამთარ-საფსულ.

ჩვენ სოფელშიაც ერთი ამისთანა კომკი იდგა. ეოველთვის განთიადისას გაიგონებდით მტრედების ტბილს და საამურ დულუნს. ფრინველები ბნელ წვედბადს ეიქინას სცემდენ, ჭოტები კი ვარსკვლავებთან ერთათ შიშით იმა-

ლეოდენ. მტრედებთან ერთათ ეგველა სულდგმული სიმძვენეირით სტკებებოდა და ეგებებოდა ბუნებით მოკასმულ დილას. ევაზიც კი თავისი სრინწიანი ხმით, ბულბულის „ტიატიას“ თან, „ევაზ-ევაზს“ დასძახოდა.

ამ საამურ დილას, ერთი წევილი მტრედი, როდესაც ღუღუნით მოიჯერა გული, კოშკის თავსე კადმოფრინდა და ფრთების შრიალით გასწიეს მინდვრისკენ. იქ გაიძღეს სორბლით ჰატარა ჩინჩახვი და დაბრუნდენ საჩქაროთ უკანვე. დედა მტრედი ბუდეში ჩაჯდა, მამალმა კი წკირებს და თივას დაუწყო ზიდვა. სამ დღეს შემდეგ დედა მტრედმა ბუდეში ჩასდო ორი ჰატარა თეთრი კვერცხი. მამალი მტრედი ახლს უფრო მარჯვეთ იყო. დილით აღრიანათ გაფრინდებოდა საჭმლის საშოვნელათ მინდვრისკენ, და როცა დაბრუნდებოდა დედა მტრედი დაუცლიდა ბუდეს და ძერე თითონ გასწევდა მინდვრისკენ სასრდოს საზოვნელათ, მის მაგიერ მამალი მტრედი იჯდა ბუდეში კვერცხებსე, ასე და ამ გვართ ატარებდენ დროს სამ კვირამდის. მესამე კვირას კვერცხებიდან გამოიჩიკენ ჰატარა, თეთრი, გინგლიანი, მტრედის ხუნდები. დედა მტრედი ძლერ განარებული იყო და მალ-მალ უხიდავდა საჭმელს. მამალი მტრედი, თუძცა ისიც უვლიდა შვილებს, მაგრამ უძეტეს დროს კოშკის თავსე ღუღუნით ატარებდა დროს. ქორი, გაიკებდა თუ არა მამალი მტრედის საამური ხმით ღუღუნს, გაექნებოდა მის ბუდისკენ, მაგრამ მამალი მტრე-



დი სწრაფათ ბუდეში ჩავარდებოდა, ან ზედ ბედისა დასწრებდა დაიწყო და ფრენას და ქორს დასტოვებდა სახამშრალს...

ორ კვირასე ბარტყები დაბუშბულიანდენ, თუძცა კი გაფრენის დრო ჯერ შორს იყო. ხალხს ცოდვით მიანხია მტრედების ხელის ხლება და ამისთვის ეკელას უშლიდენ ბუდის ჩამოძლას ან მათ მოკვლას.

მაგრამ ერთხელ, სოფლის სკოლის მოსწავლეებმა, ილომ და კოლამ შეჰკრეს ჰირობა, რომ ჩუმათ ჩამოესხათ მტრედის ბარტყები და მართლაც აასრულეს. საღამო ქაძი იყო, ფრინვლებს შეეწვიტათ ქვიღალ-ხივილი. ხალხი, მუშაობით დაღალულები, ვასშობდენ. ძაღლის ეგუა ისე სძირათ ისძირდა, რომ ეურადღებს აღარავინ არ აქცევდა. აი, ამ დროს კოლა და ილო ჩუმათ მიიპარებოდენ კოშკისკენ. ჰატარა ხანს უკან ქურდულათ შეფოფხდენ ხეზე და იმის შემწეობით გადაძვრენ კოშკში. კოლა ციუვივით აცოცდა კოშკზე და შეჰყო ხელი ბუდეში. მოისმა უცბათ მტრედის ხმა „ღუ“ და ფრთების ხმაურობა. რა დაგეძართა, კოლა, შესძახა ილომ. არაფერი, დედა მტრედი დავიჭირე და გავუშვი, ბარტყები კი გამოვასხი. მამ ჩამო სახქაროთ, არავინ მოგვასწროს! უთხრა ილომ და უშველას ჩამოსვლასე... ილო და კოლა ჰატარა ხანს შემდეგ სახლისკენ მირბოდენ სიცოცხლისკისკისით. ისინი შეცვივდენ კოლას სახლში, რომელსაც ბინა ჰქონდათავის ბიძის ოჯახში და სინარულით ახტაცებულეებმა დაუწვეს ბი-

ძას ლანარაკი მტრედებსე, კოლას ბიძამ რომ ეძაგებოდა
 ეძაწვილებს მტრედები ჩამოუსხაეთო, ძლიერ გაუჯავრდა
 და უნდოდა კიდევ ეცემა, მაგრამ ისინი უცბათ გამოცვივდენ
 და წავიდნენ ილოს სახლში. იმ დამეს ჩუმათ ჩასხეს
 ბარტყები კალთაში, გადააფარეს თავშალი და დადგეს ტახ-
 ტის კუნჭულში. ეს ისე მოახდინეს, რომ ვერავინ გაუგო.
 მეორე დილით ნახეს, რომ ბარტყები კატას შეეჭამა და
 ძვლები და დაერჩინა. ამ დილითვე მოვიდა გაბრახებული
 კოლას ბიძა, უნდოდა რომ ბარტყები ისევ მტრედის ბუ-
 დეში შეესხა, მაგრამ ეძაწვილები ტირილით დაუსვდენ:
 ბარტყები წუსელის კატამ შეგვიჭამაო. ამ საქციელისთვის
 ცელქი კოლა და ილო კარგა ლახათიანათ დატუქსეს
 და მასწავლებელთანაც დააბეზდეს, იმან ეძაწვილები უსადი-
 ლოთ დასტოვა, და აუსხნა, თუ რამდენათ ცოდოა ფრინ-
 ველების ბუდის ჩამომლა და ან მოკვლა...

II

დედა მტრედი იმ დამეს ბუდეში აღარ ჩამჯდარა.
 მეორე დილით კი საჩქაროთ შეფრინდა ბუდეში და შვილები
 რომ არ დაუსვდენ — მორთო ნადვლიან კილაზე ღუღუნი.
 ძაძალი მტრედი მიხვდა რაღაც უბედურებას და ისიც
 კოშკის თავიდან ჩამოფრინდა ბუდეში, იმასაც ელდა ეცა,
 ბარტყები რომ აღარ ნახა. დაიწვეს ორივემ ნადვლიანათ
 ღუღუნი და ტრიალი ბუდეში, შემდეგ გადმოფრინდნენ



ეროვნული
ბიბლიოთეკა

და სხვა ნანგრევი ნახეს, არც იქ დაუსვდათ შენობები, შემდეგ კიდევ სხვა ნანგრევი დათვალიერეს და ასე, ამ ვაზრათ შემოიარეს მთელი კომუნიის ნანგრევები ამათ. დარჩნენ საბრალონი მოწყენილები, უშვილოთ.

დადგა შემოდგომა, მოჭყვა ცივი ზამთარი, მტრედებს უფრო გაუორკეცდათ სიმწარე... ბავშვებს უხაროდათ, სტოდნენ, თოვლის გუნდებს ესროდნენ ერთმანეთს. მტრედები კი ძალ-ძალ სოფლის კარმიდამოსე სხდებოდნენ საჭმლის საშოვნელათ. ერთხელ სოფლის ბიჭმა დაუგო კაკანათი და მოამწეგდია შიგ ჩვენდგდა მტრედი, მძალი კი გაფრინდა, შეჯდა კომკსე, აქეთ-იქით მიინედ-მოინედა, აქაც სომ სახიფათო არ არისო, შემოჭკრბ ფრთებს და გაფრინდა საით, თითონაც არ იცოდა... ილომ და კოლამ გაიგეს, რომ მტრედები აღარ ივენენ კომკსე და ძლიერ დანადვლიანდენ... ერთხელ შუადღის უკან ილომ და კოლამ გაიარეს ვენახებისკენ, ღობის ძირში ნახეს მტრედის ბუძბული და მიხვდნენ, რომ მძალი მტრედიც ქორს ჩავარდნოდა კლანჭებში. ასე განადგურდა საწყალი მტრედის ოჯახი. ილომ და კოლამ ბევრი იწუხეს, მაგრამ გვიანლა იყო.

კ. ფრანისპირელი.



პატარა გმირი



გერმანელებს და ფრანგებს შორის დიდი ომი იყო ამ ოცდა ათი წლის წინეთ.

ერთხელ, სუსნიან სამთარში, გერმანელები მიუახლოვდნენ ფრანგების ერთ პატარა სოფელს. სოფელში მცხოვრებლები თითქმის აღარავინ იყო; სოფი ის იყო საომრათ გასულიყო და სოფი კი ომს კიდევ ექსპერვლბ.

ერთ პატარა და ცივ ქოხში იჯდა მოხუცი ბებია თავისი შვილი-შვილით და შეჭამადს ხარძავდა. იჯდა მოხუცი და ფიქრობდა: გერმანელები მართალია ახლოს არიან ჩვენგან, მაგრამ ამისთანა სასტიკ სიცივეში არ შემოვლენ სოფელშიო.

ფრანგების ჯარი ამ ორი საათის წინეთ გავიდა სოფლიდან საომრათ, ბებიას პატარა შვილიშვილმა, პიერმა, კარგათ დაინახა, რომელი გზით წავიდა მათი ჯარი. გერ-





მანულები რომ შემოსევოდენ კიდევ ამ სოფელს შემოდის ვერავის ვერ ნახავდენ.

ემაწვილმა ერთბაშთ დაუწყო ეურის კდება, მოესმა რომ თითქოს ცხენების და კაცების ხმა; ნუ თუ ეს კერძანულები მოდიან, იფიქრა ბავშვმა.

მართლა რომ კერძანულები ფოფილიევენ, კანდეს კარი და შევიდენ ქოხში. ბებია ამ ერთიც არ მიიხედა იმათკენ. ისევე ისე ურევდა კოვსით თავის შეჭამადს.

— შენ ეი, ბებერო, გვითხარი საით წავიდა თქვენი ჯარი? ჰკითხა კერძანულების ჯარის უფროსმა დამახინჯებული ფრანგული ენით.

მოსუცმა დედაკაცმა ხმა არ გასცა.

— ფულს გახუკებთ თუ გვიჩვენებ რომელ მხარეს წავიდენ თქვენები.

მოსუცი მანც ხმას არ იღებდა.

— ეგ ბებერი უსათუოთ ერუ და მუნჯი იქნება, შენ ისევე ჰატარა ბიჭს გამოჰკითხე, თქვა ერთმა ჯარის კაცმა.

უფროსმა შესედა ჰატარა ჰიერს და თვალბებზე შეატეო, რომ ამას ვეელაფერი ეცოდინებო, მაშინვე ჯარის კაცები შემოეხვიენ ემაწვილს და ეუბნებოდენ:

— წამო, ძამიავ, უნდა გვიჩვენო საით წავიდენ თქვენები.

ჰიერს არ უნდა და გაეცა თავისიანები. ბებია მაც სასტიკათ თვალთვალში გაუყარა, განა ბავშვმა იმდენი არ

იცოდა რომ მტრისთვის არ უნდა ეჩვენებინა კსა. ზრუნვა
 თვალთ ანიშნა ბებიას, რომ მეც ვიცი, როგორ
 უნდა მოვიქცეო. მერე ემაწვილი გასწორდა წელში და გა-
 დაჭრით უთხრა:

— კარგი წამოდით, გიჩვენებთ იმ კსას, საითაც
 ჩვენები წავიდნენ.

და მართლაც ერთ წუთს შემდეგ გერმანელებთან ერთათ
 მიაჭენებდა პატარა ჰიერი, ერთ ჯარის კაცს შემოუსვავს
 უკან ცხენზე.

მოხუცი ბებია დაჩნა მარტო. მწარეთ დაღონებული
 მიეცა ფიქრებს, თავისი შეჭამადი სულ დააფიქრა. ეძინო-
 და რომ მტრებმა ჩემ საუვარელ ჰიერს არა აუტყონონრაო
 და ნანობდა, რომ გაუშვა ემაწვილი. ბებია დარწმუნებული
 იყო, ჰიერი მტრებს სულ სხვა მხარეს წაიყვანდა, —
 არ გასცემდა თავისიანებს და ეს ცოტა არ იყო სანარებ-
 და მოხუცებულს. მართალია ფრანგები კარგა ხანია გავიდნენ
 სოფლიდან, მაგრამ ისინი ფეხით სიარულით იყვენ დადა-
 ლულ-დაქანცულნი და გერმანელები კი ცხენებზე ისხდნენ. ახ-
 ლამაინც ვეღარ მიეწეოდნენ. მაგრამ რა ეშველებოდა ჰიერს,
 როდესაც გერმანელები გაუკებდნენ რომ ატყუებდა? და ბე-
 ბია საშინლათ დანადვლიანდა.

გერმანელებმა იარეს-იარეს ტყეში და ბოლოს მიხვდნენ
 რომ ემაწვილმა კანკებ პატარა ამოდენა ხანს და ძალიან გუ-
 ლი მოუვიდათ, ერთ ჯარის კაცს უნდოდა კიდევ ემაწვი-



ლი დაეხვეწებოდა თოფით, მაგრამ მეორე ჯარის კაცები უნდა
რო დროსე და უთხრა — ეძაწვილს რა მოეკითხება? მაგ-
რამ დასჯით კი უსათუოთ უნდა დავსაჯოთო.

უფროსის ბრძანებით ზიერი თოკით მიაკრეს ხეზე და
უთხრეს:

— ასე იყავ გაკრული ხეზე! თუ ვინმემ აკსნა, შენი
ბედი იქნება, თუ არა და აგრე დაიღუპე.

გერძანელები წავიდნენ.

საბრალლო ეძაწვილი ხეზე გაკრული ფიქრობდა:

— ჩვენები ხომ მაინც გადარჩენ, გერძანელები კვლავ
დაეწვიან.

ზიერს მოაგონდა რომ ჯიბეში ჰატარა — დანა უძეკს;
ამოიღებს ახლავე ამ დანას, გადასჭრის თოკს და განთა-
ვისუფლდება. მაგრამ ის ისე შებოჭილი იყო, რომ ვერც
ხელი და ვერც ფეხი ვერ განძობია და გამწარებული
მოჭყვა ტირილს.

ხედავს საბრალლო ზიერი, რომ ღამე ახლოვდება. დიდი
ხანი არ იყო, რაც ამ ტყეში მგლები ენახა და ეძაწვილი
შიშმა შეიპყრო. კარგათ იცოდა ისიც, რომ ეს ადგილი
გზასზე მოშორებული იყო და გამლეულ-გამომძვლეული არც
ფეხით და არც ცხენით ვერას უშველიდა. ვინ იცის ბებია
როგორ ელოდა და სწუხდა! რა კარგი უნდა იყოს ახლა
მისი თბილი ლოგინი.

პიერი მოჰყვამ მწარეთ ტირილს. სელ-ფენი სამინჯლო
ტკიოდა. დაიღაღა, სულ უღონოთ შეიქნა, ბოლოს მი-
ლიც მოერიო.

ამავე დროს ბებია ამანთო ლიფლიფა და კასწია თა-
ვის შვილი-შვილის სამებნელათ. დიდხანს ევიროდა ტყე-
ში, უძახოდა, მაგრამ ვერა კანდარა, დაბრუნდა ისევ ქონში
და დაიწყო მწარეთ ტირილი.

რამდენ ხანს ეძინა პიერს არ იცოდა, როდესაც გაი-
ღვიძა მის წინ იდგა ერთი ცხენოსანი გერმანელი. ის
ჩამოსტა ცხენიდან, გადასჭრა თოკი, რომლითაც პიერი
იყო მიკრული და უთხრა ეძაწვილს:


— შენ აქ ან გაიყინებოდი საცოდავო, ან მკვების
ლუკმათ განდებოდი. შემეცოდე. მეც შვილების პატრონი
ვარ, ერთი შენი ტოლი ძეავეს. მიუდლოდი ახლა ჩემ უფ-
როსთან საქმესე, მომაგონდა ჩემი შვილები და შეგიბრა-
ლე. შემომიჯექ ცხენსე, გზადის წაგიყვან და იქ ჩამოგს-
ვამ.

გერმანელების ჯარის კაცმა წამოიყვანა პიერი შარა
გზადის, ჩამოსვა ცხენიდან და უთხრა:

კასწი შინ, აქედან შენ ჩემსე უკეთ გაიკნებ გზას.

პიერმა მოჰკურცხლა თავის სასლისკენ.

ან. წ--ისა.



ხალხური ლექსი

(ლექსებში გაგონილი და ჩაწერილი ა. ხაბულიანისაგან)



ას სწუსარ, ბეზავ ნინია,
 რასე ხარ მოდრებლულიო?
 სახეზე წეენა გეტეობა,
 სხვა რიგათ გიცემს გულიო!?.
 სომ არ დაგჩაგრან ბედისკან
 წამის-წამ ბრახით ღრენამ?

ან ლუკმა ჰურის გულისთვის
 მუდმივმა ოფლის დენამ?

—არა! რას მისამს მე შრომა

და ჯაფა მრავალ გვარო;
 ჩემი ფოლადი მარჯვენა
 მათშია გამომდნარო.

უღელი ხარი ვიეიდე
 გასაფხულის ასალ-პირსა.
 ვთქვა: ახლან მანც ავიერი
 სიღარბის გასაჭირსა:

მოვხნავ, მოვთესავ, მოვიბკი,
მოვუმატებ მხნეობასა;
მოყვარეს მოყვრათ დაფხვდები,
მტერს გაუუწევებტყერობასა;

მაგრამ გაჭყიდეს „შავთვალა“,
თან მიაუღლეს „ყარაჩა“
და აბა, ერთი მითხარით,
სასიხარულო რა დამრჩა?!

არ გამახნია კიწაწი,
არც ფიხნი, არცა შეშაო
და უსამოსლოთ ცოლ-შვილიც
სიცოცხემ დამიშეშაო...

რაღა ვქნა... ვიღას მივმართო,
ვიღა მომიხნავს ალოსა;
ვინ მომიხიდავს შინ მხასა,
ან ვინ გამიღეწს კალოსა?!

დამღუჭეს, დამახიჩავეს,
მომჭრეს მარჯვენა მხარით
და ლომის ძალით მებრძოლსა
ცრემლი მადინეს ცხარით!..



ხარაბუზა და ჩხართვი *)

(თარგმანი)



ხალ გაზდა ჩხართვი, თავსე წანტედა
 ხარაბუხას. ხარაბუხა შეშინდა, წაი-
 ფორსილა და გადაბრუნდა გულადმა.
 ძალიან უნდოდა როგორმე ისევ ზურ-
 გი ძაღლს მოექცია, რომ გაფრენილი-
 ეო, მაგრამ ვერ შესძლო და უსაძველოთ
 ბზუკუნებდა ჭვარში ფეხებ აფუკილი.
 —აი ჩინებული საძოვარი!— დაიუვი-
 რა ჩხართვმა. ხარაბუხას კიდევ უფრო
 შეშინდა და კიდევ უფრო შეანძრია
 ფეხები. „ასე ამას ვერ შევჭამ, — ამბობ-
 და ჩხართვი, — ცხვირში ჩამავლებს ფეხებს.

რა მოუხერხო არ ვიცით!

— სწორეთ დავიღუბე! ჩურჩულებდა ხარაბუხა.

ჩხართვი ძწუსარებით ადგა მას თავსე და არ იცოდა
 რა ექნა.

*) ჩხართვი შაშვის ტოლა ფრინველია, ნაცრის ფერი. გემრიელი ხორ-
 ი აქვს.

— რას ჩაფიქრებულხარ შე უბედურო? — ჭკითხა მას ბედურამ, როძელიც ამ დროს მიფრინდა ხსართვთან.

— რასა და იმას რომ არ ვიცი, რანაირათ შეეჭამო ეს ხარაბუსა.

— ოჰ, რა ჩერჩეტი ყოფილხარ მძობილო, — ჩივიდა ბედურამ. — შენ შეუდე რაძე მას ქვეშ, ხარაბუსა შეფორთხდება ზედ და შენსკენ ზურგით მოექცევა.

— მაღლობელი ვარ რჩევისთვის! უთხრა სიხარულით ხსართვმა.

— რომ არაფერი მაქვს რა შეუუდო? გაიფიქრა ხსართვმა და გაფრინდა ცოტა მოშორებით კენჭების მოსაგროვებლათ; იქვე ახლო ნახა მიწის ჰატარა გორი და მიახიხა ხარაბუსასკენ. ხარაბუსამ ჩასჭიდა თათები მიწის გუნდას, გადმობრუნდა, ასწია ფრთები მაღლა და უცებ გაფრინდა; ამნაირათ დარჩა ხსართვი მოტყუებული და ჰირდაღებული.

ბესარიონ ვაშაძე.



მინდვრის თაგვები

მ აფხულში უწვიმობის დროს მინდვრებში და ენებში ნახავთ ხოლმე მრავალ ჰატარ-ჰატარს თხრილებს, ეს გახლავთ მინდვრის თაგვების სოროები. რაც უფრო დედა-მიწა მშრალია, იმდენათ უფრო მრავლდება მინდვრის თაგვი; სველ და ნოტიო ადგილს ძეგათ ვრიდებიან ეს ჰატარა დაუპატეიებელი სტუმრები.

ამ რამდენისამე წლის წინეთ რუსეთში ისე გამრავლდა თაგვები, რომ საოცარ ამბებს მოგვითხრობენ. ერთხელ ერთი კლესი წასულიყო თავის ენაში ჰურის სანახავათ და იმდენი თაგვები შემოსეოდენ ტანსე, რომ საბრალო კლესს გაენდა ზემო ჩასაცემელი და მიეგდო თაგვებისათვის, თითონ კი მოეკურცხლა.

ერთხელაც ერთი კლესის ჰატარა ბიჭი ასულიყო მნასე და შიგ ჩავარდნილიყო, თურმე მნის შუა გული ამოეჭამათ თაგვენს. მაშინვე, რასაკვირველია, მნა ჩამოძალეს და როდესაც გამოიფანეს იქიდან ემაწვილი, მას ტანისამოსზე მიჭკობოდა აუარებელი თაგვები და ბავშვის მთელი ტანი ისე დაეკბინათ რომ იარებათ გადაექცა.

ერთხელაც კიდევ ერთი გლეხი თურმე ორძოს დასაქმებულს და სასამართლოთ კარტოფილის ჩასაყრელათ და როდესაც არშინ ნახევარი ამოთხარა დროებით მიატოვა. როცა მეორე დღეს მიუახლოვდა ორძოს ნახა რომ თაკვებით სამსე იყო, აიღო და შიგ კატა ჩააკლო. მაგრამ კატა ვერ მოერეოდა თაკვებს და საცოდანუმა როგორც იყო კნევილით ორძოდან თავი ძლივს დააღწია და გაიქცა.

არა თუ ბელაუბი და სარდაუები სავსეა თაკვებით, სახლში საკუჭნაოები და სამხარეულოებიც გაიტენება ხოლმე იმათგან, ტანისამოსსაც კი ღრღინან და სჭრიან. ერთ დედაკაცს ძილის დროს თავსახურავი დაუწიწკნეს.

დიდ ზარალს აძლევენ თაკვები საქონელს რკინის გუბის საწეობში. არაფერს არ ინდობენ: ტყავი იქნება, თუ ტანისამოსი, თუ ჭურჭელი. თუ ჭურჭლის უთი კარგათ არ არის დაჭედილი შიგ თაკვების გროვა შეძვრება ხოლმე. ერთმა რკინის გუბით მიიღო ჭურჭელი და როდესაც გასსნეს უთი შიგ ჩაინიკებში და ლამფის მინებში ჩასკუპულიყვენ აუარებელი თაკვები.

უწვიმობაში მდინარეში და ჭებში დიდ ძალი თაკვები იბუდებენ, ისე წყალს ვერ ამოიღებთ ჭიდან, რომ თაკვი არ ამოჭყვეს. ქორი-ულახია თევსის მუცელში ეოველთვის რამდენიმე თაკვს იპოვით

მინდვრის თაკვებმა საშინელი გამრავლება იცინა.



ანრილშივე თაგვების სოროში თითქმის რვა დღის განმავლობაში ხავთ და ერთ საფხულში ექვსჯერ მანც ევოლებათ ღლანები და ასე სულ ახალახალი თაობა ჩნდება. სოროებს იკუთებენ მიწაში ერთ არძინსე, ხშირათ დერეფნებსაც უკეთებენ და სხვადასხვა ადგილას ამოსასვლელებს.

მინდვრის თაგვებს უევართ გროვათ ცისოვრება და სოროებსაც კი ერთმანეთთან ახლოს აკეთებენ. სასრდოს დაემებენ სადაც კი მონახამენ. მათი საევარელი საჭმელი მარცვლებია, მაგრამ დიდის სიამოვნებით შეექცევიან სოლმე ბალახის ფესვებს, ფოთლებს და ხილის ნაყოფს; რკო, თხილი და კართოფილიც ძალიან უევართ.

მინდვრის თაგვები სირბილში მარდნი არიან, ცურვაც კარგათ იციან. ერთ ადგილს რომ განადგურებენ, გასწევენ მეორე მხარეს. ვერც ძალალი მთები და ვერც დიდი მდინარეები ვერ შეაფერხებენ ამათ. ისეთი ავბუცელები არიან, რომ არც დღე და არც ღამე არ დადგება იმათი ჰირი.

მინდვრის თაგვებმა არა თუ რუსეთში გერმანიაშიაც იციან საშინელი გამრავლება. მდინარე რეინის ჰირას ღლით ისეთი აუარებელი თაგვები დათარეშობენ მინდორში, რომ კაცი ისე ვერ გაივლის იმათ სოროს არ წაწედე. მართალია მიუახლოვდებით თუ არა თაგვები ცდილობენ სოროში მიიმაღნენ, მაგრამ ერთათ იძენი მიუარდება სოროს, რომ ადვილათ შეიძლება ჯოხით ათობით და ოცობით მათი გაწევა.

ბუნების მეტყველი ლენცი ამბობს რომ ერთი ანდერსონის ლას გერმანიაში შვიდი დღის განმავლობაში ორასი ათასი თაგვი დაიჭირეს და ფაბრიკაში გაჭვიდეს. თუძცა თორმეტში ნახევარ კანკიკს აძლევდენ, მანც ზოგმა სუთ თუძნამდის ფული იძოვაა.

ინგლისში, კარგა ხანია მასუკან, ერთხელ მინდვრის თაგვები ღაეცენ ახალ მოძენებულ ტეეს და არა თუ ახალ გასდა ხეების ქერქი განანდგურეს დიდრონ წაბლის და მუხის ხეების ფესვებიც კი ისე დაღრღნეს, რომ ხეები გასმა.

აქამდის რაც კი რამ მოიგონეს მინდვრის თაგვების გასაწვევტათ არაფერი შველოდა. კაცს ვერ შეუძლიან მათთან ბრძოლა, თუძცა მტრები ზატარეები არიან, მაგრამ მათი რიცხვი აუარებელია. ამ ბოლო ხანებში ერთი უცნაური საშუალება მოიგონეს თაგვების გასაწვევტათ. თაგვებს განგებ შეჭერიან საოფლეს და ამითი დიდ ძალი იხოცება.

უძთავრესი მტრები მინდვრის თაგვებისა არიან ცხოველები. ძნელი წარმოსადგენია რა დიდ ძალს ანადგურებენ: ძელიები, დედოფალები, თხუნელები, ზღარბები და მეტადრე—სვაგები.

ერთი სვაგის მუცელში ერთხელ იანოვეს ოცდაათი მინდვრის თაგვი და ეს მხოლოთ საუხმეთ ეჭამა ამ კარეულ ფრინველს. ისე რომ ვისაც უნდა ზურის ძარცვლის დაზოგვა სემო ჩამოთვლილ ცხოველებსაც უნდა გაუფრთხილდეს.

ხარისთვის • ყდიერნი



აქანშია წევს ხუმარა—
 მუშა დიდი ხნის სნეული;
 წელიცა სტკივა, მუხლებიც,
 სულ სტკივა მთელი სხეული.
 მესამე ზაფხული მიდის
 რაც ასე არის უქმათა,
 მის სარჩო-საბადებელი
 გახდა ყვავ-ყორნის ლუკმათა.
 მოსწყინდა მხცოვანს მხენელ-მთეს-
 ველს

ამდენ ხანს ყოფნა მუქთადა,
 ღმერთს სთხოვს ან მორჩეს, ან მოკვდეს
 ნუ ჰყავ ხელ-უყრელ კუტათა.
 უწყრება შინაურებსა,
 წაიბუზღუნებს მწარეთა:
 „რას სხედხართ უქმათ, უკლონო,
 არ გაიხედავთ გარეთა;
 ჩაიწვა ჭირნახულები,
 მიეშველენით ხანია,
 ეხლა რა შინ ჯდომისაა
 როგორი დროა და ჟამია?!.“
 ესმის მუშების კიჟინა,—
 ჰმკიან ყანებსა, შრომობენ,
 ეკვეთებიან მინდვრებსა
 ცელ-ნამგლებითა ომობენ.

ჰშურს სნეულს შრომა სხვებისა,
 ჰშურს სხვების ნამკალ-ნათიბი;
 რათ მოიძულა უფალმა, —
 რათ გამოართვა ნასიბი?
 ერთს დროს კი ამაზე აღრე
 არვის გაჰქონდა გუთანი,
 არც ვინ ჰირნახულს იკლებდა,
 დღეს იმარჯვებენ ცუდანი.
 ბევრჯელ უნახავთ ხუმარას
 მარტოს მოემკოს დლიური;
 ბექებზე ნისლი ოფლისა,
 ნისლი ენკენცსთვიური
 რომ ასდენოდეს მუშასა
 ბოლათ და კვამლათ ქცეული.
 დღეს გულ-მოკლული ლაჭანში
 წევს ღონე-გამოღეული.
 ბევრჯელ დაუწვა თვალები
 ოფლმა ნადენმა ღვარაჟა,
 ჩამოურეცხა გულ-მკერდი
 ღვთის ნაჩუქარმა შანათა.
 მაინც არ გატყდა გულითა
 შრომასვე შესტრფის კვალადა.
 გონება მინდვრათ მიურბის,
 უნდა წავიდეს ძალათა;
 რა ვერ აღგება აწევით,
 ამოიკვნესებს ბრალათა.
 უყვარდა სარჩოსსნეულსა,
 ბევრი პური და ძროხები,
 იმიტომ თავისი ჯანი
 არ ჰქონდა დანაზოგები.
 „რკინის კაცია, რკინისა“
 გაიძახოდენ ზოგები.
 მაინც ქვეყნის ყბა ავია



დასჯილს თვითაც ჰსჯის სიტყვითა,
 ხუმარაზედაც ამბობდა
 სოფელი ერთის პირითა:
 საწყალი მეტათ უდივრათ
 ეკიდებოდა ხარსაო,
 როდესაც ჰხნავდა და ღრმათა
 მამულს ავლებდა კვალსაო,
 „დაჰკარით, მაგრა დაჰკარით,
 ნუ დააოხნეთ ხარები!
 დაუყვირებდა მეხრეებს
 სიცოცხლე განამწარები.
 არ დაასვენის წესივრათ,
 არც აუშვებდა დროზედა;
 რა ხანი არი მზის სხივი
 გაჰქრა ახუნის გორზედა.
 ის ისევ ხარებს დაჰყვირის:
 გასწით, გადადგით ფეხები!
 თქვენ ისე მიიზღაზნებით
 ღამის დაგადგათ კეხები
 და გაგიხუროთ სახრითა
 დადუნებული ღეშები.
 მის ქვა-გულის როდი ესმოდა
 ხარების დანაკვნესები!
 ხენას როდი აშლევინებდა
 მათ გახრეშილი ქედები.
 წინათ მტანჯველი ხარისა
 ეხლა ოტანჯვის თავათა,
 ცოდვიანია ამდენს ხანს
 იმიტომ არის ავათა.
 და იქაც ხარის ჩხვერისგან*)
 დღეებს ჩამოჰკლევს შავათა“


ვაჟა-ფშაველა.

—————

*) ჩხვერა რქენა, რქენისგან.

მოულოდნელი კავშირი

(სურათი გიმნაზიის ცხოვრებიდან)



ეთუთხმეტე წელში გადავდექი თუ არა, გიმნაზიაში მიმაბარეს, პირდაპირ მეხუთე კლასში. მანამდის, როგორც ერთათ ერთი შვილი, თითქმის სულ მარტო დიდების საზოგადოებაში ვტრიალობდი, მარტო მათ შორის ვიზრდებოდი, ამიტომ პირველ ხანებში სწორეთ გამაშტერა, სულ გამაბრუა იმ არეულობამ, იმ ხმაურობამ, იმ მხიარულებამ და ეშმაკობამ, რომელიც, როგორც მთელ გიმნაზიაში, ისე ჩვენ კლასშიაც სუფევდა; მე რაღაც უცხოთ ვგრძნობდი ჩემ თავს ამ მოუსვენარ ქალიშვილების გროვაში, ყოველთვის განზე ვიდექი და იქიდან ყურადღებით ვაკვირდებოდი ჩემ ამხანაგებს; ყველაფერი მაკვირვებდა მათში; მაკვირვებდა მათი ხმა მაღალი ლაპარაკი და ყვირილი, მუდამ სირბილი და ხტუნაობა, შეუწყვე-

ტელი სიცილი და მასხრობა; მაკვირვებდა ის გაბედულება, რომლითაც ისინი მასწავლებლებს ატყუებდენ და ან ერთი მეორისაგან იწერდენ თხზულებებს და ამოცანებს, ან წინ გაშლილ წიგნიდან კითხულობდენ გაკვეთილს და ისე უპასუხებდენ.



ჯერ ყველას ერთნაირათ ვუკვირდებოდი, ყველას თანა-
სწორათ ვადევნებდი თვალ-ყურს, მაგრამ არ გასულა ცოცხალი
რომ ორი ქალიშვილი დაეპატრონა მთლათ ერთიანათ ჩემ ყურა-
დღებას; ესენი იყვენ „ორი პატარა თავუნია“, როგორც მათ მთე-
ლი კლასი, მთელი გიმნაზია ეძახოდა, ორი განუშორებელი მე-
გობარი, მაკა და მარა, ორივე მორჩილი ტანის, ორივე ხმელი
და წვრილი, ორივე შავი და ორივე უზომო ეშმაკი. რაც რამ
უნდა მომხდარიყო საკვირველი და უჩვეულო, მოულოდნელი ჩვენ
კლასში—ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს მათ დაუხმარებლათ
არ მოხდებოდა; თუ უცაბედათ რომელიმე მოსწავლის ქუდი პირ-
საბან ოთახში შეაფხის თავზე გაჩნდებოდა, ან ვისმეს წიგნები კა-
ლოშების ტომარაში ამოჰყოფდა თავს—ყველამ იცოდა, რომ მაკას
და მარას ამ საქმის სისრულეში მოყვანის დროს მცირედი მონა-
წილეობა არ ექნებოდათ მიღებული; თუ რომელიმე უფროსი კლა-
სის მოსწავლეს ზურგზე ცარციით რამე სურათი დაეხატებოდა,
ან წელზე ქალაღის გრძელი კუდი გამოეხმებოდა—მაშინაც ყვე-
ლამ იცოდა, რომ ეს მაკას და მარას ნამოქმედარი იყო. მაგრამ
ორი პატარა შავი თავუნია ისეთი სასაცილო და ისეთი საყვარლე-
ბი იყვენ, რომ მათზე გულის მოსვლა და მათი გაჯავრება არავის არ
შეეძლო, და ყველაფერი, რაც სხვას თავზე სასჯელს დაატებდა—
მათ გარშემო მხოლოთ სიცილს და მხიარულებას იწვევდა.

მიიზიდეს თუ არა ჩემი ყურადღება, მაშინვე აღტაცებაში მო-
მიყვანა როგორც მათმა მეგობრობამ, ისე მათმა ყოველმა მოქმე-
დებამ, მათმა საქციელმა. მათი ნაეშმაკარი ერთი არაფერი გამო-
მეპარებოდა; როდესაც ერთხელ მაკა მეზვიდე კლასის მოწაფეების
თანხობით მათ კლასში უკანასკნელ პარტას ქვეშ შეძვრა და და-
მალულმა მთელი გიმნაზიის საშიში მასწავლებლის გაკვეთილი თა-
ვიდან ბოლომდის მოისმინა, მარაზე ნაკლებ მე არ ვიყავი ადელ-
ვებული და აღტაცებული, მაზე ნაკლები შიშით მე არ ველოდი
გაკვეთილის გათავებას, რომ ძალე გამეგო მაკას თავ-გადასაყალი;

როდესაც მეორეთ მარამ კლასის ჟურნალი მოიპარა და მასწავლებლის ხმარებით რამდენიმე მოწაფეს წინანდელ ხაზებში მასწავლებლის ხელის მიმსგავსებით კარგი ნიშნები ჩაუსვა — ორივეზე ნაკლებ არც მე ვიყავი რამდენიმე დღეს შეშფოთებული, მათზე მეტი შიშით მე ვაკვირდებოდი მასწავლებლების სახეს, გადაშლიდენ თუ არა ისინი ჟურნალს და ჩააჩერდებოდნენ შიგ. როგორც გიმნაზიაში თვალყურის სადგენებლათ, ისე სახლში მთელი საათობით სალაპარაკოთ — მე მაკას და მარას, „ორი თავუნიას“ მეტი აღარავინ და აღარა ფერი აღარ მაგონდებოდა; ხშირათ კიდევაც ვოცნებობდი ხოლმე, რომ ოდესმე მეც მათი ამხანაგი, მეც მესამე „თავუნია“ გავხდებოდი და მათთან ერთათ ვიეშმაკებდი და ვიცუღლუტებდი, მათთან ერთათ გამოვიწვევდი ყოველთვის საერთო სიცილს და მხიარულებას, მათთან ერთათ დავიმსახურებდი საერთო სიყვარულს... ხშირათაც ვნატრობდი, რომ ეს ასე ყოფილიყო, მაგრამ არ ამიხდა ეს ნატვრა; ისინი მართლა დაუამხანაგდენ მესამე ქალიშვილ მართლა მიიღეს მესამეც თავის მჭიდრო კავშირში... მაგრამ ეს მესამე მე არ ვიყავი.

ნახალწლევს ჩვენ კლასში ერთი ახალი მოსწავლე შემოგებარა; ეს იყო გვარიანი მალალი და სრული, მსუქანი და თეთრი ქალიშვილი, დიდი, გაბუებული თავით, რომელსაც უკან წვრილი, ქერა ნაწნავი ვირთხის კუდივით დაკონწიალობდა; დიდ, გამობერილ შუბლს ქვეშიდა მისი რგვალი, დაკვირვებით სავსე თვალები რაღაც მორიდებით და კრძალვით გამოიყურებოდნენ; არ ვიცი რათ, მაგრამ მთელი თავისი არსებით ახლათ მობარებული ქალიშვილი სასაცილო შთაბეჭდილებას ახდენდა. მის შეხედვაზე ვერც ერთი უნებლიე ღიმილს ვერ ვიკაევდით. სახელიც სასაცილო ერქვა; მაკამ და მარამ პირველ დღესვე საიდგანდაც გაიგეს, ახალ მოსწავლეს სახლში „დოდო“-ს ეძახიანო — და მათ მხიარულებას ამ საგნის გამო საზღვარი აღარ ჰქონდა. „დღეს დოდოს ჰკითხეს გაკვეთილი!“ — „დოდოს ახალი ქუდი ახურავს!“ — „დოდოს ლა-



მაზი პალტო შეუკერაეს!“ — „დოდო დღეს უკალოშოთ მოვიდა!“ — და-უწუშ გაისმოდა მათი მხიარული ხმა, როცა ისინი ხან ერთს და ხან მეორეს ახარებდნენ ამ დიდათ საყურადღებო ამბებს და განგებ ოცჯერ დღეში იმეორებდნენ დოდოს სახელს. ვერავის ვერ აენხნა რათ, მაგრამ ყველაში ეს ფრაზები სიცილს იწვევდნენ, ყველაში სიცილს და მხიარულებას აღძრავდა ხოლმე მისი სახელის გაგონება, მისი გაბუებული თავის, წვრილი ნაწნავის და რგვალი, მსხვილი თვალების დანახვა. ისეც მორცხვი და გაუბედავი დოდო სულ დააშინა ამ საერთო დაცინებამ და ის ყოველთვის მარტოთ მარტო კედლებს ეტუზებოდა და საერთო დროს გატარებაში არაოდეს მონაწილეობას არ იღებდა. ყველა შეეჩვია ამ გვარ განწყობილებას, არავის არ უკვირდა, რომ დოდო ბუსავით ყოველთვის მარტო იყო, თითონ დოდოსაც კი გაუკვირდებოდა ხოლმე, თუ რომელიმე მისწავლე ამხანაგურათ ხმას გასცემდა. მხოლოდ მაკა და მარა მიაქცევდნენ ხოლმე ხან-და-ხან ისევ მას საერთო ყურადღებას, მიაქცევდნენ მისთვის, რომ დაეცინათ და გამხიარულებულიყვნენ. ნამდვილ თავგუნიებსავით დაიწყებდნენ ისინი იქით-აქეთ ცუნცულს და ყველას სათითაოთ ახარებდნენ: „დოდო დღეს ფერჩატკებით მოვიდა!“ — „საცოდავი დოდო წვიმას მთლათ დაუსველებიაო,“ და ისეთი მასხრული, ვითომ და სერიოზული კილოთი აცნობებდნენ ყველას ამ საკვირველ ამბებს, რომ ყველა ისევ შეუკავებლათ იცინონდა, თუმცა უმიზეზოთ, თუმცა სულელურათ, მაგრამ მაინც იცინოდა.

წლის მესამე ნახევარი თავდებოდა და ერთ კვირას შემდეგ ჩვენთვის ორი თვის ნიშნები უნდა დაერიგებინათ; ყველაზე უფრო მათემატიკის გვეშინოდა, მისთვის ვემზადებოდით და გულმოდგინეთ ვაკეთებდით დღეში ოც-ოც, ოც-ოც-და-ათ ამოცანას, რომ გამოცდის დღეს არ შევრცხვენილიყავით და ცუდი ნიშნები არ მიგველო... მაგრამ მაინც შევრცხვით. მახსოვს, როგორ ჩამოუგრძელდა ყველას სახეები, როცა მასწავლებელმა ამოცანა ხმა მალდა

წაგვიკითხა და მერე მაკას დაფაზე დაწერინა; სწორეთ იყო, რომელიც ჩვენ საშინლათ გვეძნებოდა, და მერე როგორი დიდი, როგორი დახლართული ამოცანა! ატყდა მთელ კლასში ერთი ფურჩული, ერთმანეთთან ლაპარაკი, პატარა ბარათების გადაგდებ-გადმოგდება, დახმარების თხოვნა... ზედამხედველი ქალი პარტებს შორის დადიოდა და ყველას გვიწყრებოდა, კი ნუ ლაპარაკობთ, თქვენ-თქვენი საქმე აკეთეთო... მასწავლებელი მოსვენებით იჯდა კათედრაზე და ავი ღიმილით თვალს ადევნებდა ჩვენ გაქირვებულ მდგომარეობას... და ყველაფერი მითი გათავდა, რომ ამოცანა ერთმაც ვერაფერ გააკეთა, ზედამხედველმა ქალმა რვეულები მოაკროვა და კათედრაზე დააღაგა, მასწავლებელმა ჯიბიდან წვრილი თასმა ამოიღო, შეკრა რვეულების გროვა, იღლიაში ამოიღვა, დაცინვით თავი დაგვიკრა და წავიდა.

— ღმერთო! დაწყებული მაინც მქონდეს კარგათ!—სასოწარკვეთილებით ოხრავდა მაკა.

— მე პირველი კითხვაც არ დამიყენებია!—წუწუნით ბანს აძლევდა მარა.

— არც მე! მეც სულ ვერაფერი მოვახერხე!—წყენით მოისმა აქეთ-იქიდან.

მწარეთ დაღონებული ვიყავით ყველა მეორე გაკვეთილზე, რუსულისაზე, მწარეთ დაღონებული წავედით ყველა მესამე გაკვეთილზედაც, სულ ზედა სართულში, დიდ ზაღაში, გიმნასტიკის საკეთებლათ. უცებ, მაშინ, როცა ყველა მოძრაობის და მიხვრა-მოხვრის კეთება გავათავეთ და გიმნასტიკის მასწავლებელმა ქალმა ქალაქობიას თამაში დაგვაწყებინა, მე შევნიშნე, რომ მაკა და მარა არსად ჩნდნენ. გამახსენდა მაშინვე, როგორ ჩურჩულებდნენ მეორე გაკვეთილზე, გამახსენდა, როგორი აღელვებული იყვნენ ორივე რეკრეაციაზე—და გულმა მოუხსენრათ დამიწყო ძგერა, მივხვდი, რომ ახალ ეშმაკობას იგონებდნენ, კიდევ ერთ რამე უცნაურ ამბავს გვიმზადებდნენ. არა, მო-



თმენა არ შემეძლო, მე ახლავე უნდა გამეგო, რაში იყო საქმე.

— ნება მომეცით წყლის დასალევათ წავიდე!—ვთხოვე მე მასწავლებელს.

თანხმობის ნიშნათ ან თავი დამიქნია. რევერანსის გაკეთებაც დამავიწყდა, ისე საჩქაროთ მოვკურცხლე კარიდორისაკენ. გამოვედი და მივიხედ-მოვიხედე: ვინ იცის, რომელ კარიდონში, რომელ კლასში იყვენ ახლა მაკა და მარა. ვინ იცის, რა პლანები უტრიალებდათ თავში, ან რის სისრულეში მოყვანას აპირებდენ! გადავადექი მოაჯირს და კიბეზე ძირს ყურება დავიწყე, თან სული მთლათ ერთიანათ გაენაბე, რომ არავითარი ხმაურობა არ გამოიპარვოდა. მთელ გიმნაზიაში სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ხან-და-ხან მოისმოდა რომელიმე კლასიდან მასწავლებლის ამადლებული ხმა, ან გიმნასტაკის ზალიდან ხმაურობა გამოვიდოდა. უცებ ნელი, ფრთხილი ფეხის ხმა მომესმა; კიდევ უფრო გადავაწექი მოაჯირს და დავინახე, რომ სულ ქვედა სართულიდან, სადაც მასწავლებლის ოთახი იმყოფებოდა, კიბეზე ჩვენი „ორი თავუნია“ მოცუნცულედა; ერთ მთვანს, მაკას, ფართუკს ქვეშ რალაც ნამალევათ მოჰქონდა. მე გავქევიდი და თვალს არ ვაცილებდი მათ; შუა სართულამდის რომ მოვიდენ, ისინი შეჩერდენ, იქით-აქეთ გაიხედეს და მერე მარჯვენა კარიდორში წავიდენ და მიიმალენ. უთუოთ ჩვენ კლასში მიდიან მეთქი!—მივხვდი მე. არ ვიცოდი, რა მექნა. ჩავსულიყავი მეც შუა სართულში—ვაი თუ დავენახე და წყენოდათ, არა და—რითი გამეგო, რა მოჰქონდა მაკას ფართუკს ქვეშ? ჯერ კიდევ ვერ გადამეწყვიტა, საით წავსულიყავი, რომ ორივე თავუნია ისევ გამოჩნდენ; ახლა მარას ჰქონდა რალაც ფართუკს ქვეშ... ნელ-ნელა, ფეხ აკრფვით, ისევ ქვედა სართულში ჩავიდენ და მარცხნით გაუხვიეს... აქ კი ველარ მოვითმინე, უზრუნველი და მშვიდობიანი სახის გამომეტყველება მივიღე და, ვითომც და აქ არაფერიო, ერთ წამს ჩავიბრინე ქვეით.

მარა და მაკა მასწავლებლის ოთახის წინ იდგენ, ბნელ კუნ-

ქულში, იქ, სადაც მასწავლებლების პალატების დასაკიდი იყო. მაკას კედელთან სკამი მიედგა და შლიაპების დასადებ თაროზე რალაცას ფათურობდა, მარა კი ქვეით იდგა ყარაულივით და თვალებს იქით-აქეთ აფეთებდა. ჩემ დანახვაზე მან მაკას კაბა ჩამოსწია; მაკა ჩუმათ ჩამოხტა ძირს, სკამი უცებ თავის ალაგას მიდგა და ორივე წინ წამოიწიენ. მე არც კი გამიხედნია იმათკენ; ვითომც, არც კი შემენიშნოს მათი იქ ყოფნა, უზრუნველათ მივეუხლოვედი შვეიცარიის ოთახს, კარებზე დავურახუნე და ცარცი ვთხოვე, ცარცის თხოვნის გარდა ძირს არაფერი საქმე არ ჰქონდათ მოსწავლეებს. სანამ შვეიცარი ცარცს მიჩვევდა და მე მის ოთახში ვიყურებოდი, ორმა თავუნიამ ფეხ-აკრეფით გაირა ჩემს უკან; როცა მოვიხედე, დაეინახე, რომ ისინი დამშვიდებით აღიოდენ კიბეზე. თან ცალი თვალი ჩემსკენ ეჭირათ, შეგვნიშნა, თუ არაო; ბოლოს დარწმუნდენ, რომ მე ისინი სრულიადაც არ შემიმჩნევია და მხიარული ღიმილით მოეფარენ კიბის მოსახვევში. ცარცი მომცა თუ არა, შვეიცარმა ისევ შეიკეტა კარები. ერთ ხანს შეედექი, შიშით იქით-აქეთ გავიხედე.. მაგრამ ცნობის მოყვარეობამ დამძლია, მივირბინე მეც იმ ბნელ კუთხეში, სადაც წელან მაკა და მარა ფათურობდენ, სწრაფათ მივიდგი იგივე სკამი, რომელიც მათ ჰქონდათ და შევხტი ზედ. საჩქაროთ მივუსვ-მოვუსვი თაროზე ხელი. მაგრამ ქულების და წერილი თასმით შეკრული ჩვენი მათემატიკის რვეულების გარდა ვერაფერი ვერ ვნახე. იმედ-გაცრუებულმა სკამი ისევ თავის ალაგას დავდგი და გიმნასტიკის ზალისაკენ წავედი. — რას ფათურობდენ, რას აკეთებდენ იქ? — მოუსვენრათ მატრიალებდა თავში სულ მარტო ეს აზრი. — რას ეძებდენ, რა მოჰქონდათ, რა მიჰქონდათ ფართუეს ქვეშ?.

დიდხანს ტანჯვაც არ დამჭირვებია. მეოთხე გაკვეთილი ხატვის გვქონდა. მეოთხედი საათი გასული იქნებოდა, როცა უცებ კარები გაიღო და ოთახში ზედამხედველი ქალი შემოვიდა, მას გაჯავრებული და მთლათ სახე ანთებული მათემატიკის მასწავლებლებ-



ლი შემოჰყვა. ვიგრძენით, რომ კარგს არას მოასწავებდა მათი ასე უღროოთ წვევა და ყველა ფეხზე წამოვხტიით; ხატვის მასწავლებელიც მოშორდა მარას, რომელსაც ამ დროს ნახატს უსწორებდა და მათკენ გაემართა.

—ეს რა არის? წარბების შექმუხვით დაგვიყვირა მასწავლებელმა და რვეულების ახლა შეხსნილი გროვა კათედრაზე დააპერტყა. — ვინ გაბელა ეს?

—ახლავე უნდა გამოტყდეთ, ეისი საქმეა ეს, თუ არა მთელი კლასი საღამომდის აქ დარჩება! — მრისხანეთ გამოგვიცხადა ზედამხედველმა ქალმა.

მოსწავლეები გაშტერებით მივჩერებოდით ორივეს, არც ერთს არაფერი არ გვესმოდა. მხოლოდ რამდენსამე ხანს შემდეგ გავიგეთ, რაშია იყო საქმე; ვილაცხას რვეულები გამოეცვალა, მასწავლებლისთვის წვრილ თასმაში ფრანგული ენი'ა რვეულები გავხვია, მათემატიკის კი — სადღაც გაეჭრო. ახლა კი მივხვდი, რაც მოჰქონდა მაკას ფართუკს ქვეშ, ახლა კი მივხვდი, რაც მიჰქონდა უკან მარას.

— არა, ეშმაკობა შეიძლება, მაგრამ ეს მეტის მეტია! — გულმოსულობისაგან სულს ძლივს ითქვამდა მასწავლებელი, — თავისუფალ საათში მინდა რვეულები გავასწორო, ვიღებ მათ და რას ვხედავ! — და მან გაბრაზებით შიგ შუა ოთახში გადმოაპერტყა კათედრიდან რამდენიმე რვეული.

— ამ საქმის ასე დატოვება შეუძლებელია! — სასტიკათ დასძინა ზედამხედველმა. — ახლავე, ამ წამს უნდა გამოტყდეთ, ვინ ჰქნა ეს!

მოსწავლეები, რომლებსაც მასწავლებლის გაბრაზებაზე ჩუმრუმათ ღიმილი მოდიოდათ სახეზე, ამ სიტყვებზე წელში გაიმართენ; ყველამ კარგათ ვიგრძენით, რომ ეს საქმე მართლა და ასე ადვილათ არ ჩაივლიდა.

— ვინ ჰქნა? თითონვე თქვით! გაიმეორა ზედამხედველმა ქალმა. ჩვენ ყველამ ერთი მეორეს დაეუწყეთ ყურება. მე თვალები

იქით გავაპარე, საცა ორი თავუნია ერთი მეორის გვერდით გამაოგნებულნი ჩემი იდგენ. მაგრამ მათ პატარა, შევტუხა სახეებზე ისეთი გულუბრყვილო გაკვირება იხატებოდა, რომ მე თითონ დაფიქრდი, იქნება ვცდებითქო.

— გამოტყლით, თუ არა თქვენთვისვე უარესია!

— მთელი კლასი უნდა დასაჯოთ, არც ერთი არ უნდა გაუშვათ სახლში! — გაბრაზებით წამოიძახა მათემატიკის მასწავლებელმა.

ზედამხედველი ქალი ერთ წამს შედგა. მან კარგათ იცოდა, რომ მთელი კლასის დასჯა — ჩვენთვის უფრო მხიარულება და დროს გატარება იქნებოდა, ვიდრე სასჯელი, რომ ამით ვერავის გამოტყნდა.

— ენ არის დღეს მორიგე? — ბოლოს უცებ იკითხა მან.

— მე! — წამოდგა დოდო.

— ვის ჰქონდა შკაფის გასაღები?

— მე.

— ენ გააღო შკაფი და ენ გამოიღო იქიდან ფრანგულის რვეულები?

დოდო გაფითრდა; მისი დიდი, რგვალი, დაკვირვებით სავსე თვალები შეკრთომით მიეპყრენ ზედამხედველ ქალს.

— არ ვიცი! — უცებ ჩაწყვეტილი ხმით მიუგო მან.

— მაკა და მარა იხამდენ! — მაკას და მარას საქმეა! — ერთი მეორეს ეჩურჩურებოდნენ მოსწავლეები. ეტყობოდა, დოდოსაც ესევე აზრი უტრიალებდა თავში, მანაც მალეით გარხედა იქითკენ, სადაც ორივე თავუნია იჯდნენ, ზევით აწეული წარბებით და იმავე გულუბრყვილო გამომეტყველებით ეშმაკ თვალებში.

— არაფისთვის მიგიციათ გასაღები?

— არა.

— მაშ როგორ გამოიღეს შკაფიდან ფრანგულის რვეულები?

— არ ვიცი! — ისევ ჩაწყვეტილი ხმით მიუგო დოდომ.

— სულ ჯიბეში გქონდათ?

— არა, უჯრაში მედგა. — დოდომ პარტას წინა ფიცარი აწია და დიდი გასაღები ამოიღო.



— თუ არ გამოტყდენ, ვინ ჰქნა ეს, ან თუ თქვენს თითონ არ მიგვითითეთ, ვიზე გაქვთ ექვი—სალამოს ათ საათამდის მარტო თქვენ ღარჩებით აქ!—მკაცრათ გამოუტყხადა დოდოს ზედამხედველ-მა ქალმა.

შეგნიშნე, რომ აქ კი შეკრთენ მაკა და მარა, თითქო რაღაც მორიდებით შეხედეს იმგენმა დოდოს, რომელიც ისევ ისე გაფითრებული იდგა და პირდაპირ ზედამხედველს მიჩერებოდა თავისი ღიღი, რგვალი, დაკვირვებით სავსე თვალებით.

ზარი დარეკეს. გაკვეთილი გათავდა. ორივე მასწავლებელი და ზედამხედველი ქალი კლასიდან გავიდნენ. მაშინვე წარმოუდგენელი ხმაურობა და არეულობა ატყდა ოთახში.

— უნდა გამოტყდენ ვინც ეს ჰქნა!—წამ-და-უწუმ მოისმოდა კლასის ხან ერთი კუთხიდან და ხან მეორიდან, სადაც კი ხუთ ხუთ, ექვს ექვსი მოწაფე ერთათ შეგროვილიყვენ.

დოდო მარტოთ მარტო იდგა ფანჯარასთან და ქუჩისაკენ გაიყურებოდა. ნელ-ნელა ყველა მას მიუახლოვდნენ და გარს შემოხევიენ. მაკა და მარაც სხვებში ერიენ. შევატყვე, რომ ისინი სადაგლათ გრძობდნენ თავს და ცდილობდნენ იმდენი ძალ-ღონე ეხმარათ, რომ თავი არ გაეცათ; ისიც შეგნიშნე, რომ ყველა რაღაც ექვის თვალით უყურებდა ორ პატარა შავ თავუნიას.

— რისთვის უნდა დასაჯონ დოდო? მაგის ბრალი ხომ არ არის?—მოისმოდა ახლა დოდოს გარს შემოხვეულ მოწაფეებს შორის ხან ერთი ხმა და ხან მეორე.

— არა, შენ პირდაპირ უნდა ურთხრა ზედამხედველ ქალს, რომ შენ აქ არაფერ შუაში ხარ!—ბოლოს გამოუტყხადა დოდოს ჩვენმა პირველმა მოწაფემ, ვარდომ.

— დიხაც! ეს არ გამიგონია. გამოიძიონ, ვინ არის დანაშაული და ის დასაჯონ!—დაეთანხმა ცხარეთ ვაროც.

— მართალია! მართალი! ყველა წავიდეთ და გამოუტყხადოთ, რომ დოდო დანაშაული არ არის, რომ მაგის დასჯა არ შეიძლება!

—გაიმეორეს ერთათ რამდენიმემ—სხვის მაგიერათ ვგ რათ უნდა დასაჯონ? იპოვნონ დამნაშავე!

—არა!—უცებ მოულოდნელათ წამოიძახა დოდომ და მის გარშემო შეკრებილ ამხანაგებს თვალი გადაავლო.—არა! დამსაჯონ! თუ იპოვნეს ის, ვინც რვეულები მოიპარა—მას გიმნაზიიდან გამოაგდებენ, მე კი...—აქ მას ტურჩები აუკანკალდა და დიდ, რგვალ თვალლებზე ცრემლები მოადგა.—მე კი.. მარტო ათ საათამდის დამტოვებენ გიმნაზიაში!—და დოდომ თავი ისევ ფანჯრისკენ მიიბრუნა, რომ არ შეგვენიშნა ორი მსხვილი ცრემლი, რომელიც მის ლოყებზე ჩამოგორდა.

დოდო დასაჯეს. მეხუთე გაკვეთილს შემდეგ, როდესაც ჩვენ ყველამ წიგნები შევკარით, რიგ-რიგათ დავდექით და კლასიდან გამოვედით, ის მოწყენით დარჩა თავის ადგილას და თავ მობრუნებული ფანჯრისკენ იყურებოდა. არცერთს არ შემოგვხვდა, თუმცა ჩვენ კარებშიდაც კი ეჭვდებოდით, უკან ვიხედებოდით და მას თვალს არ ვაცილებდით. როცა ყველა გამოვედით, ზედამხედველმა ქალმა კლასის კარები გადაკეტა, გასაღები წამოიღო, გასაფალ კარებთან, პალტოს დასაკიდზე დაკიდა და შევიცარს დაუბარა საღამოს შვიდ საათზე გამოეშვა მეხუთე კლასში დამწყვედული მოწაფე. მიამა, რომ სამი საათით მაინც შეუმოკლეს სასჯელი საწყალ დოდოს.

ნასადილევს, გაკვეთილების სწავლა რომ დავიწყე, შევნიშნე, რომ გეოგრაფიის წიგნი მაკლდა. გამახსენდა, რომ გიმნასტიკის გაკვეთილზე ვარო იმ წიგნით მეორე დღისთვის გაკვეთილს სწავლობდა, რომ მეორე ზალაში ფარნჯარაზე დაგდებულს მოვკარი მას თვალი და გადავწყვიტე მოსაძებნათ ისევ გიმნაზიაში წავსულიყავი. წიგნიც რომ არ დამრჩენოდა, მგონი მაინც ვერ მოვითმენი და დავბრუნდებოდი იქ, ისე მიზიდავდა ახლა ეს გიმნაზია, რომელშიაც ასე უდანაშაულოთ დასჯილი დოდო მეგულებოდა... სულ იმას ეფიქრობდი, რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ახლა საწყალი დოდო, მარტოთ მარტო, მშიერი, გულდაწყვეტილი, მოწყენილი... და თათქმის მიე-



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

რბოდი ნაცნობ ქუჩებში, ისე მივრბოდი, რომ გამველვო განმავლელ-
ლები გაკვირვებით მომჩერებოდნენ.

აი, შევედი გიმნაზიაშია. ყველაფერი ისე უცნობათ მო-
მეჩვენა, თითქმის ველარც კი ვიცანი შესავალი ოთახი, კიბეები,
კარიდორები, რომლებიც მარტო დილით მენახა ხოლმე, მო-
სწავლეებით გატენილი, და რომლებიც ახლა რაღაც ჩამობნე-
ლებული და დაკარიელებული იყო... ჩუმათ ავირბინე კიბეზე
შუა სართულამდის და ჩვენი კლასისკენ გადავუხვიე: მივა-
დექი კარებს და გავჩერდი, არ ვიცოდი, რა მექნა, მხოლოდ ახლა
გამახსენდა, რომ კლასის კარები დაკეტილი იყო და მე სულ
ტყუილათ მომიხდა აქ მოსვლა; ისევ ძირს ჩაბრუნების და გასაღების
წამოღების მეშინოდა, შვეიცარს რომ თვალი შეესწრო, ასე ადვი-
ლათ არ ჩამივლიდა ასეთი საქციელი. უცებ მშვენიერმა აზრმა გა-
მირბინა თავში. რა საჭირო აყო შიგ კლასში შესვლა? რამე რომ
მიმედგა, მე შემემძლო მივწვდომოდი იმ პატარა, რგვალ ფანჯარას,
რომელიც ყოველი კლასის კარებშია გამოჭრილი, და იქიდან და-
მენახა დოღო... პირსაბან ოთახში გვარიანი მალალი, ვიწრო და
გრძელი ცარიელი ხის ყუთი მეგულებოდა; ფეხის ფრჩხილებზე
გავსწიე იქითკენ, გადმოვოდე ფანჯრიდან ეს ყუთი, ნელა მოვიტა-
ნე, მივადგი ჩვენი კლასის კარებს და ფრთხილათ ავედი ზედ, ავედი
და შივეტედე სახით პატარა, რგვალი ფანჯრის მინას; ჯერ ვერა-
ფერი გავაჩიე, ვერც კი დავინახე, სად იყო დოღო; მხოლოდ
ცოტა ხანს იქით შეენიშნე, რომ მას ადგილი გამოეცვალა, უკა-
ნ-სკნელ პარტაზე დამჯდარიყო, დაედვა ნიკაპი სტოლზე დაყრდნო-
ბილ და შეერთებულ ხელებზე და დაკვირვებით მიჩერებოდა მის
პირდაპირ, კედელზე დაკიდებულ საღმრთო წერილის შინაარსიან
სურათს; მისი დიდი, რგვალი თვალები ფართოდ იყო გახელილი
სახე მთლათ გაფითრებული და საშინლათ დაღონებული
ჰქონდა... ის არ იძროდა, პირველ შეხედვაზე ადამიანს ეგო-
ნებოდა, თვალებ გახელილს ძინავსო, მაგრამ მას არ ეძინა; არა!



მის ფართეთ გახელილ თვალებიდან ნელ-ნელა, თუმცა შეუწყვეტელი
 ტლათ გორდებოდენ გაპუტკუნებულ, მაგრამ გაყვითლებულ
 ლოყებზე მსხვილ მსხვილი ცრემლები, რომლებიც ხელებს მთლათ
 უსველებდენ; ის ხელებსაც არ სძრავდა, რომ ეს ცრემლე-
 ბი შეემშრალებინა, თვალებსაც კი არ აფახურებდა, არა, ის დაკ-
 ვირვებით მიჩერებოდა კედელზე ჩამოკიდებულ სურათს და მხო-
 ლოთ მსხვილ მსხვილი ცრემლები, რომლებიც ასე ზღაპრით ცურ-
 დებოდენ მის ლოყებზე, ამტკიცებდენ, რომ ის ამ სურათზე არ
 ფიქრობდა და სულ სხვა, მწარე ფიქრებს ეძღვებოდა... როგორ მწუ-
 ხარებას, როგორ ტანჯვას ხატავდენ მასი ფართეთ გახელილი რგვა-
 ლი თვალები, როგორი სევდა და ნაღველი ეფინებოდა მის ფერ-
 მკრთალ, საზოგადოთ აუშფოთებელ სახეს... მე მიჩერებოდი მას,
 თვალი ვერ მომეშორებინა მისთვის... და ვგრძნობდი, ისე ვგრძნობ-
 დი, თითქო მე რითონ დოდო ვყოფილიყავი, რა ფიქრები ტრია-
 ლებდა ახლა მის თავში... საწყალი დოდოს! ყველა მას დაცინო-
 და, არავის ის არ უყვარდა, ყველა ერიდებოდა, არავინ არ უამხა-
 ნავდებოდა... მუდამ მარტო, მუდამ რალაც განდევნილათ, გაბუე-
 ბულათ იყო... და აი, ახლა, სხვისი გულისთვის ის კიდევ დასაჯეს,
 მშიერი, მწყურვალე დატოვეს აქ, მარტოთ მარტო... ყველა თავ
 თავის სახლშია, ყველა მხიარულებს, იცინის, ლაპარაკობს, მხოლ-
 ლოთ ის ზის აქ, მოწყენილი, უბედური... მალე დადამდება.. ოთა-
 ხში სულ დაბნელდება... და ის კი აქ, მაინც ამ ოთახში იჯდო-
 მება დიდ ხანს, დიდ ხანს..

და მსხვილ მსხვილი ცრემლები ისევ ნელ-ნელა გორდებოდენ
 მის ფართეთ გახელილ რგვალ თვალებიდან გაფითრებულ ლო-
 ყებზე...

უცებ ფეხის ხმა მომესმა; სწრაფათ ჩამოვედი ყუთიდან და მი-
 ვინედ მოვიხედე; სწორეთ ჩემ პირდაპირ მეშვიდე კლასის კარები
 მთლათ დაფელილი იყო; ფიქრი და ასრულება ერთი იყო; ერთ
 წამს შევხტი შიგ და კარები მივუგდე, პატარა ქვრიტიმალი კი და-



ვტოვე, რომ დამენახა, ვინ მოდიოდა... გავიდა ერთი-ორი წამი და ფეხის ხმა თითქმის ჩემ წინ მოისმა; მე ველარ მოვითმინე, კარი ცოტათი უფრო გავაღე და... დავინახე ჩვენი პატარა შავი თაგუნები; ორივე ფეხ აკრეფით მოდიოდნენ, ორივე ჩვენი კლასის კარებს მიადგნენ; ხელში ქალაქებში გახვეული რაღაც რაღაცეები ეჭირათ; სუნზე ვიცანი, რომ ძეხვი და სხვა ამისთანა რამეები უნდა ყოფილიყო; კარების წინ რომ ყუთი დანახეს, ცოტა გაიკვირვეს, ერთი მეორეს რაღაც წაუჩუჩურობდა, მერე, დიდხანს არ უფიქრიათ, ისე შეღვინ ორივე ამ ყუთზე და როგორც წელან მე, ახლა ისინი ორივე მიექედნენ რგვალი უანჯრის მინას; მიექედნენ და ორაეე გაშეშდნენ, ხმა ამოუღებლათ, გაუნძრევლათ იყურებოდნენ ორივე შიგ... დიდხანს იყურეს... მერე უცებ ჩაპოვიდნენ, მაკამ კარებს გასაღები შეუყარა. გააღო და ორივე თაგუნია ოთახში შესრიალდა; კარი ისეე მოიხურა. მე ფრთხილათ გამოვედი მეშვადე კლასიდან და ფეხ აკრეფით გავეშურე კიბისაკენ.

არ ვიცი, რა მოხდა იმ დღეს დოდო და თაგუნებს შორის, არ ვიცი, რა ილაპარაკეს და როგორ შეხედნენ ერთმანეთს, არ ვიცი რა უთხრეს შვეიცარს, თუ ამ უკანასკნელმა შეუსწრო, ან, თუ შვეიცარს არაფერა გაუგია – რა ნაირათ მოახერხეს და მოაწყვეს ყველა ეს, ისინი ამაზე არაოდეს არ ლაპარაკობდნენ, ეს კი ვიცი, რომ იმ დღეს აქეთ დოდო, მაკა და მარასთანა სამი განუყრელი მეგობარი მთელ გიმნაზიაში აღარ არსებობდა. ორმა პატარა შავმა თაგუნამ სიყვარულით მიიღეს თავის მჭიდრო კავშირში ერთი დიდი თეფრი თაგუნიაც.

ელ. წერეთელი.



არდაში და ელიზბარი

(ძველი თქმულება).



მ ადგილას, საცა მდინარე ალაზანი მთის კალთებს მოუხვევს, ვენახებისა და ღიბრის იფნის ხის ჩრდილებში გამოსჩანს სოფ. ორცეფი. ამ სოფლის განაპირას არის ერთი ძველი დანგრეული არდაშის ქოხი.

საწყალი რამ იყო ეს არდაში: სიყმაწვილიდან უსულ იმას ფიქრობდა, როგორმე გამოეკეთებინა თავისი მდგომარეობა და ვერ მოეხერხებინა. ძალიან უჭირდა, როდესაც შიმშილი კუჭს უღრღნიდა, დახეული და დაძონძილი ახალუხი ტანს ვერ უთბობდა და ვერ იფარებდა იმ საშინელ სიცივისა და ქარისაგან, რომელიც დალისტნის მთების ხეობებიდან მოჰქროდა, იმის ქოხშიაც ისეთივე სიცივე იყო როგორც გარეთ. არდაშს თითონვე უკვირდა თავისი უბედურობა და ვერ გაეგო თუ ისე რათ იტანჯებოდა. სულ ყველა მამაპაპისაგან ნაანდერძვე ჩვეულებებს და წესებს გულ-მოდგინეთ ასრულებდა; წმ. გიორგის ყოველ გაზაფხულზე და შემოდგომაზე სამღთოს სწირავდა. მართალია იმისი შემოწირულობა დიდი არ იყო, როგორც სხვებისა, მაგრამ მაგიერათ ყველაზე წრფელი; მაგ. ელიზბარი მთელ მუქა ვერცხლის ფულს გაჰფანტავდა ხოლმე წმიდა მსხლის ხესთან და ძვირფას ფარჩებს შემოაველებდა გარშემო, მზავოს სამი წყვილი ჯიხვის რქები მოჰქონდა, კვირიკე მთელ ტიკ ღვინოს დაჰცევდა, ხოლო არდაში კი შესწირავდა იმისთანა ნივთებს, რომ



შესახედავითაც კი არ ღირდა: ძველ ჩვრებს, გატეხილ ხარკებს და ჯამებს. მაშ რა ექნა, თუ კი ამაზე უკეთესი არაფერი არა გაანდა-რა?

„ჩიტის ფაფობა“ დღეს (ყველიერის ორშაბათს) ფაფას მოხარშავდა და თავის ქოხის ბანზე ჩიტებს დაუდგამდა, რომ კარგათ გამოძღარიყვნ, ვენახისთვის და ყანისთვის არა ევნოთრა, დიდ ოთხშაბათს ასკილის ტოტს აიღებდა და წესისამებრ თავის მიწაში ჩაჭფლავდა, რომ ავ თვალსა და მინდვრას თავვებს არა ევნოთ რა, მაგრამ მაინც ეს არაფერსა შველოდა; იმაზე უარესი ყანა და ვენახი, მთელ ორცეფში არავის ჰქონდა.

რა გასაკვირველია, რომ არდაშს თავისი ყანისათვისა და ვენახისთვის არა სცალებოდა.

ცივ ზამთარში დავალიანდებოდა, მთელი სოფლის ვალი ემართა, მეტადრე ელიზბარისა, რომელიც ახლო მეზობელი იყო და როგორც კი გაზაფხულის მზე გამოიჭვრიტებოდა და დედამიწას მოათბობდა, მთელი სოფელი ვენახში და ყანაში გამოიფინებოდა, მუშაობა დუღდა და გადმოდიოდა: იქ ხნავდენ, აქ სთესავდენ, მარტო არდაშის ყანა იდგას ცარიელი, — პატრონი იქ არ არის. ის სიცივისა და შიმშილისაგან გამხდარი, დაძონძილი ელიზბარის მამულში სდგას და მუშაობს, ზამთარში აღებული ვალი უნდა გადიხადოს. ერთი დღე, ორი, ერთი კვირა აქ არის, გაიხედავ მზაგოს ვენახს მარგლავს, შემდეგ... შემდეგაც თავისი ყანის და ვენახის სამუშაოთ არა სცალიან, ლევანთან უნდა წავიდეს, რომელიც ჯავრობს და ლანძღვას არდაშს:

— შე, ასეთ ისეთო, რატომ ჩემთან სამუშაოთ არ მოდიხარ? ვალის აღება კი იცი, და მიცემა არა!

— ლევან, მზაგოსიც მმართვეს, იმასაც ვალი უნდა გადავუხადო.

— მე რა მენადვლება; შენ იქნება მთელი გაზაფხული სხვის ვალში გაატარო და ჩემთან ზაფხულში მოხვიდე, მაშინ შენი მუშაობა რაღათ მინდა!

ერთ ორ დღეს შემდეგ არდაში ლევანთან მუშაობს და თავის ყანას თვალ-ცრემლიანი შესცქერის. ძლივს გაათავა თავისი გალი, ახალა კი თავის მამულის მუშაობას შეუდგება. ოჰ, რა ძნელია! ისევ ელიზბართან უნდა მივიდეს და სათესლე ხორბალი ისესხოს. ბევრი ლაპარაკის, საყვედურის და მკვახე სიტყვების შემდეგ, რომელიც არდაშს ხანჯალივით გულს უკოდავს, ელიზბარი ხორბალს ასესხებს იმ პირობით, რომ შემოდგომაზე უთუოთ გადუხადოს. არდაში ახლა მხიარულათ არის, ის თავის მიწაში მუშაობს; დასთესავს, ღმერთი კარგ მოსავალს მისცემს, ვალებს გაისტუმრებს; ღვინოს გაჰყიდის, თავის ქოხს გააკეთებს და იცხოვრებს თავისთვის, ისე როგორც ყველა რიგიანი კაცი სცხოვრობს.

დილა აღრიანათ, ჯერ ალაზნის ველზე თითქმის გათენებული არც კი იყო, მხიარული მზის სხივი მარტო მთის წვერს მოჰფენოდა, არდაში ხორბლით ქოხიდან გამოვიდა. ის მხიარულათ არის, ყველაფერი წესი შეასრულა; გუშინ თესლი მღვდელს მიუტანა, მღვდელმა უკურთხა. დღეს თუმცა ძალიან ადრე იყო მაინც კარგა მადღრისათ საუზმე მიირთვა; ნათქვამია, რომ მთესველი მშიერი არ უნდა იყოს, თორემ თესლიც მშიერი მოვაო; თესლში დიდრონი კაკალი ჩაურია, რომ მომავალი მარცვალი კაკლის ოდენა მოვიდესო, ერთი სიტყვით რაც კი ორცოფელებს მამა-პაპისაგან ნაანდერძევი წესი ჰქონდათ, სრულათ შეასრულა.

მხიარულმა არდაშმა გადახედა თავის ყანას, სამჯერ პირჯვარი გამოისახა, ერთი მუჭა ხორბალი აიღო და სთქვა: „ეს ქიას, ეს თავგებს, ეს ფრინველს!“ მერე ზეცისაკენ თავი აიღო და ხვეწნით წაიბუტბუტა: „ღმერთო უხვი თვალი გადაავლე ამ ყანას, და ნუ დასტოვებ უმოწყალოთ მთესველსო!“ და თესვა დაიწყო.

როცა ყანა დათესა და ვენახსაც რიგზე მოუარა არდაში მომავალი მოსავლის იმედით სავსე დამშვიდდა, უცბათ გამხიარულდა და სიმღერა დაიწყო. მთელი არე-მარე, ცისფრათ მოკრიალებული ცა, თოვლით მოფენილი დაღისტნის მთები, სამშობლო და საყვა-

რელი ალაზანი და იფნის ხეებში დამალული ორცოფიც კი მშვენიერათ და მხიარულათ ეჩვენებოდა. დიდ-ხანს იწვა ხოლმე თავის ქოხის ბანზე, ვარსკვლავებით მოფენილ ცას შესცქეროდა და ფიქრობდა: როგორ გავმდიდრდები, რა უხვი ხელით გავცემ პურს, ფულს, ღვინოს, ვინც კი მოვა სათხოვნელათ და ვინც კი გაჭირებულია. უკვირდა რომ ელიზბარი, რომელსაც ყველაფერი უხვათა აქვს, სესხზე და მოწყალეებზე ყველას უარს ეუბნება. თუ ვისმე რამეს მისცემს საყვედურით აწუხებს. არა, არდაში თავის დღეში ასე არ მოიქცევა, ეცდება ყველანი გააბედნიეროს, გაამხიარულოს, გააძღოს და დააკმაყოფილოს.

არდაშს უკვირდა: რათ არის რომ ხშირათ ადამიანებს ერთმანეთი ეჯავრებათო! აი თუნდაროსტომი, დავითი და შოთა, სულ ჩხუბობენ, ცდილობენ რომ ერთმანეთს ავნონ რამე, რა აქვთ გასაყოფი? ისეც, მადლობა ღმერთს, ყველაფერი ბლომათა აქვსთ. მართლაც და არდაში ძალიან კეთილი გულისა იყო, ყველა უყვარდა და ყველასთვის ცდილობდა რამე ესიამოვნებინა. რა გაჭირვებაში ჩავარდებოდა ხოლმე, საწყალი, ყველიერის ორშაბათს, როდესაც თავის წინაპრების ჩვეულებას, თავგებისაგან წესის დაცვას, ასრულებდა; ანწლის ტოტს აიღებდა, კედლებს ჩამოუვლიდა, უკაკუნებდა და იძახდა:

— თაგვო, თაგვო, გადი, ანგელოზი შემოვა!

მერე კარში გამოვიდოდა, აი აქ იყო არდაშის გაჭირება: ტოტი თავის მტრის ეზოში უნდა გადაედგო და ყოველი გაჭირვება და უბედურება ენატრა მისთვის, მაგრამ რა ექნა რომ ყველასთვის კეთილი უნდოდა? რამდენსამე ხანს თავისი ტოტით დადგებოდა, ჩაფიქრდებოდა და ბოლოს სოფელს გარეთ გავიდოდა და იქ გზაზე გადისვრიდა.

განა ცოტა სიკეთეს უშვრებოდა ეს ღარიბი და საწყალი არდაში თავის ორცოფელებს? ვისმე სახლის შეკეთება დასჭირდება, არდაში იქ არის, შველის, მუშაობს. კიდევ რომ არ დაეძახნათ,

თითონვე მოდიოდა. ხედავს კაცი ეწვალება, მუშაობს, როგორ არ უნდა უშველოს, თუ კი შეუძლია! გახდება ვინმე ავით არდაში ყოველ დღე მიდის სანახავათ, დაჯდება, ესაუბრება, იმედს აძლევს და ღმერთს ევედრება. წაიჩხუბებიან დავითი და როსტომი არდაში ხმაურობაზე მოიბრუნეს, ჩაერევა, გააშველებს, დაამშვიდებს; ხან-და-ხან გაბრაზებულ მოჩხუბრებისაგან ხანჯალიც კი მოხვედრია. ერთხელ ელიზბარი საქმეზე ალაზანზე წავიდა, უკან დაბრუნებისას საშინელი დიდი ნიაღვარი მოუვიდა, ნაკადულები მდინარეებთ გადიქცა და თითონ ალაზანი კი დიდ მრისხანე წყლათ. დასველებული და დაღალული ელიზბარი წყლის ნაპირას გაჩერდა და ფიქრობდა: უკან დავბრუნდე—შორსაც არის და არც სასიამოვნოა, წინ წასვლა საშიშია, მაგიერათ სახლი ახლო მაქვს, გემრიელი სადილი, სითბო, მოსვენება. რა ჰქენა?—როგორც იქნება გადავალ! პატარა დაფიქრდა და გზას შეუდგა. როგორც კი აღიდებულ ალაზანში ფეხი შეადგა გაბრაზებულმა წყალმა ცხენი წაართვა და გაიტაცა, თითონ მხედარსაც წაიღებდა, რომ იმის ბედზე იქ ფრიალო კლდე არ შეხვედროდა და არ ჩამოჰკიდებოდა. ელიზბარს ღონე ელეოდა, სუსტდებოდა, წყალი სულს უგუბებდა. არდაშმა თავის ქოხიდან ღაინახა, რომ ვილაც კაცი ალაზანში იხრჩვება, თავის თავი დაავიწყდა, აღიდებულ წყალში შევარდა და ელიზბარი ნაპირას გამოითრია.

ქმ. მ—სა.

(დასასრული იქნება)



კოლბერი

მაუდას დუქანა.



დეს რომელი რიცხვია? — დაეკითხა ყმაწვილს დაბალი ტანის გამხდარი კაცი, რომელიც დუქნის კუთხეში ტყავით გადაკრულ სავარძლიდან ძლივსლა მოჩანდა.

— 1634 წლის ოცდაათი ღვინობისთვეა, — საჩქაროთ უპასუხა ყმაწვილმა. ის იდგა დახლის წინ, სადაც გაშლილი იყო სხვა-და-სხვა სავაჭრო საქონელი და გულდასმით კითხულობდა გაქონილ გაზეთს, რომელშიაც უსათუოთ ამას საუზმე ექნებოდა გახვეული.

— რა გგონია შენ! მე მესხიერება ისე დავკარგე, რომ აღარც კი მახსოვს რა წელიწადში ვართ? რაზე ხარ აგრე გართული, ნათლულო? რას აკეთებ მანდ?

— ვკითხულობ! ისეთი საყურადღებოა, რომ თავი მაღლა ვეღარ ამიღია!

— ვეღარ მოშორდი მაგ გაზეთს, შე ჩერჩეტო, განა! დაგავიწყდა რომ მე ავგირძალე შენ პოლიტიკის კითხვა და რალაც სისულელეებზე ფიქრი. რა გაზეთი გიჭირავს ხელში?

— „ვარსკვლავი“.

— „ვარსკვლავი“! ეგ რა ვარსკვლავი გიბოვია! აბა, რა შენი საქმეა ვარსკვლავებთან სიახლოვე... ერთი მითხარი, რა დროს გაზეთის კითხვაა, როცა ელბეჰის მაუდი ცხვირ წინ გიძევს და შენ ჯერ არ გაგიზომნია თოფი სრულია თუ არა! შენგან თავის დღეში რიგიანი კაცი არ გამოვა. თუ არ გესმის მაგ მაუდის ღირსება—ლაპარაკიც არა ღირს შენთან!.. შენ ხანში რომ ვიყავ ჩემთვის დღესასწაული იყო, როდესაც ხელს მოგვიდებდი ელბეჰის მაუდს! შენ კი რა გითხრა! აბა, მითხარ რა წაიკითხე მაგ „ვარსკვლავში“.

— ჰერცოგ მონმორანსის რომ დასჯას უპირებდენ.

— რა შენი საქმეა ჰერცოგ მონმორანსის ამბები? ძალიან თავი მოგაქვს რომ დიდი-კაცის ჩამომავალი ხარ, შენი წინაპრები რომ ბარონები გყალია.

— რა მაღალი ჩამომავლობისაა ვარ ცხადია. ფრანგების და შოტლანდელების კოლბერებს ერთი და იგივე გერბი აქვთ.

— რაში მეკითხება შენი ჩამომავლობა? ეს კი უნდა გითხრა, რომ პოლიტიკა ჩვენი ხელობა არ არის, უსაქმურების საქმეა. ჩვენი პოლიტიკა მაუდის გაზომა — გადაჭრაა, რაც შეიძლება მისი ძვირათ გაყიდვა და ღუქნის საქმეების რიგიანათ დაყენება... ვინ არის ეგ შენი მონმორანსი? რა გამიკეთა მაგან, ერთი მითხარი?

— თქვენ გეცოდინებათ რომ 1629 წელს, თუმცა დიდი ხანთარი იყო, თვითონ ლიუდოვიკი მეცამეტე წავიდა საშველათ ჰერცოგ ნევერსკისთან. როდესაც ლიუდოვიკმა გაათავისუფლა იტალია და ისა და კარდინალ რიშელიე გამარჯვებულები დაბრუნდენ თავიანთ სატახტო ქალაქში იქ დაუხვდათ არეულობა და ლალატი. ლიუდოვიკის ძმას, გასტონ ორლეანსკის, აეჯანყებინა ხალხი და მისთვის მხარი დაეჭირა ლანგედოკის მმართველს ჰერცოგ მონმორანს და თავისი ხელქვეითებიც აეჯანყებინა. კარდინალ რიშელიეს გაეცა მაშინვე ბრძანება სიკვდილით დაესაჯათ ჰერცოგ მონმორანსი. მე რომ მინისტრი ვყოფილვიყავ, — განაგრძო ყმა-წვილმა აღელვებით...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დიახ, დიახ, შენ რომ ყოფილიყავ... მინისტრი ცინვით და გამოჯაგრებით ვაქარმა დამერე სხვა კილოთი დაუმატა:

— გთხოვ, ვაებატონო, მაგ ხელმწიფებზე და ჰერცოგებზე ლაპარაკს თავი დაანებო და ქრისტიანულათ უპასუხო შენ ნათლიას: მე შენ გკითხავ დღეს რა რიცხვია?

— 29 მარიაშობისთვეა 1634 წლისა, მეთუთხმეტეჯერ მოდის ჩემი დაბადების დღე. — უპასუხა ცოტა არ იყოს შერცხვენილმა ყმაწვილმა.

— ძლივს არ მიხვდი, ხომ სირცხვილია, თუთხმეტი წლისა ხარ და არ იცი რომელი რიცხვი და რომელი წელიწადია! — ამბობდა ვაჭარი და თან წერილზე ნიშნავდა თვის რიცხვს. რა თქმა უნდა, შენ შენ-დღეში ვერ ისწავლი გაჭრობას, თუ მაგისტანა სისულელეებს გამოუდგები და ლექსების წერას დაიწყებ. შენ გგონია, მე არასა ვხედავ? აი, ამაზე მინდა მოგელაპარაკო და დაგტუქსო კიდევ. რამდენი ხანია ვაპირებ გითხრა და ახლა ველარ მოვითმენ. ლექსები! ლექსების წერა! ეგ არი რაღა! რაზე მოგივიდა ეგ სისულელე თავში! აი, შენი ლექსები! — განაგრძო ვაჭარმა აღელვებით და თან ხელში აფრიალებდა ქალაღდებს, — აბა, ბაბტისტო, მონახე ჯიბეში, ხომ არ იპოვი კიდევ რაიმე ქალღდებს.

ბაბტისტმა სასოწარკვეთილებით ჩაიღრო ჯიბეში ხელი და იქიდან ამოიღო ბანკირი სენანის ანგარიში.

— ეგ რა ჰქენი? მე გიბრძანე რომ სენანისთვის წაგელო ეგ ანგარიში და შენ მიგიტანია მისთვის შენი ლექსები! მოლექსეცა ხარ... მინისტრიც... გთხოვთ ინებოთ და ხელ მეორეთ გაისეირნოთ, წაუღოთ ანგარიში და უჩვენოთ ეს მაუდი, სენანს უნდოდა მთლათ ერთი თოფის აღება. შეხედე: აი ეს № 1 ღირს სამი ეკოუ, № 2 — ექვსი ეკოუ, № 3 — რვა და № 4 — 15. მართალია ძვირია, მაგრამ ეს საუკეთესო ელბეჰის მაუდია.

— შეიძლება ფასი დავუკლო? იკითხა ბაბტისტმა და აიღო ხელში ნიმიუშები. ამავე დროს მეორე შაგირდმა დაავლო ხელი მაუდებს მყიდველთან წასადებათ.

— როგორ თუ ფასის დაკლება? შეჰყვირა ვაჭარმა და გაჯავრებით გადახედა თავის ნათლულს, ტყუილათ კი არ ვამბობ, რომ შენგან ხეირიანი კაცი არ გამოვა. თუ ერთი საათი გევაჭრონ დაუკელი ექვსი სუ, თუ ორი საათი—მაშინ თორმეტი სუ...

— სამი საათი რომ მევაჭრონ?

— დანებე თავი სულელურ ხუმრობებს. ცხონებული მამა ჩემი იტყოდა ხოლმე: რაც ძვირათ გაჰყიდი — უფრო კარგია, და როცა ვინმე ფულს დაგესესხოს, დაფიქრდი კარგათ და უარი უთხარიო მეც მაგ წესს მივდედი და ღვთის მოწყალებით აქამდის ჯერ კი ვაჭრობა მაქვს.

მემაჟდე ემაწვილა.

ბაპტისტი მიუახლოვდა სასტუმროს, სადაც ცხოვრებდა ბანკირი სენანი, ავიდა კიბეზე და იკითხა მისი ბინა. მერე მიუახლოვდა კარებს და ზარი დარეკა. შეიყვანეს ახალგაზდა კაცთან, რომელიც დაუხვდა მათ ღია მწვანე ფარჩის ხალათით.

— უფროსმა გამომგზავნა, დაიწყო ბაპტისტმა.

— ინებეთ და ამოირჩიეთ მაუდი, განაგრძო მეორე ყმაწვილმა.

— აბა, მიჩვენეთ, თქვა თითქოს უნებურათ ბანკირმა და მივიდა მაუდის ბოხჩასთან, დახედა მაუდს, ოღნავ ხელით გაშინჯა და თქვა:—აი, ეს ამოვირჩიე. რამდენი ღირს?

— თუთხმეტი ეკიუ, უპასუხა ბაპტისტმა.

— კარგი, მერე რამდენი არშინია ამ თოფში?

— ოცდა ათი, საჩქაროთ უპასუხა მეორე შავირდმა, — მიბრძანებთ გავზომო?...

— რა საჭიროა, პირველათ ხომ არა ვყიდულობ თქვენგან. მჯერა. ოთხას ორმოც-და-ათი ეკიუ მოდის, მიიღეთ ფული.

ბანკარი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა მაგიდას და ამოიღო იქიდან ფული.



— შეგიძლიან ხელი მოაწერო? — ჰკითხა იმან ბაბტისტს.
 ყმაწვილი სირცხვილით აინთო ამ კითხვაზე. მიუხაზლოვდა
 მაგიდას, მოაწერა ხელი, აიღო ფული, ორივემ შეჰკრეს მაუ-
 დები და წავიდნენ სახლში.

— რა ჰქენით? — ჰკითხა ვაჭარმა დაინახა თუ არა თავისი
 შეგირდები.

— არაფერი. თქვა ბაბტისტმა და დახლზე დადო მაუდის თა-
 ფები.

ვაჭარმა საჩქაროთ გახსნა ბოლჩა.

— ხომ არ შესცდი?

— მგონია რომ არა, უპასუხა ბაბტისტმა.

— მე კი მგონია რომ შესცდა, თქვა მეორე შეგირდმა.

— როგორ! შესცდა? დაიყვირა ვაჭარმა სასოწარკვეთილე-
 ბით და დაუწყო შინჯვა ნიმუშებზე ნაჩვენებ ფასებს, — იცოდე რომ
 ახლავე უკან დაგაბრუნებ, როგორც გინდოდეს ისე გამოაწყე
 საქმე, ფული კი მე სრულიად უნდა ჩამაბარო, თუ ის არ მოგ-
 ცემს, შენი ჯამაგირიდან გამოგირიცხავ. გაგიყიდნია № 3 მაუ-
 დი. იმის ფასი არის დანიშნული ექვსი... არა, რვა ეკიუ...

— რვა ეკიუა დანიშნული! დარწმუნებული ხარო მაგაში?
 ჰკითხა ბაბტისტმა გაოცებულმა ვაჭრის სიტყვებით.

— რასაკვირველია დარწმუნებული ვარ! ერთი ისლა გაკლია
 რომ თქვა ვითომ მე ვცდები! თქვი ჩქარა, ექვს ეკიუთ გაჰყიდე
 განა?

— რას ამბობთ, პირით იქით მეტი ამილია, რვის მაგივრათ
 თხუთმეტის ანგარიშზე მოუცილა.

— რაო თხუთმეტია!.. არშინზე თუთხმეტი ეკიუ აგილია!
 სიხარულით შეჰყვირა ვაჭარმა. — რა კაი ყმაწვილი ხარ! სწო-
 რეთ საქებურა! თუთხმეტია! ტყუილათ კი არა ხარ ჩემი ნათლუ-
 ლი! თუთხმეტი რომ ავიღოთ იმ მაუდში, რომელიც ექვსიც არა
 ღირს, რა ბედნიერებაა! ორას ათი ეკიუ გვერგო მეტი! ეს გამო-

დის ექვსას ოცდა ათი ფრანკი! მარგოტონა! მარგოტონა! — დაუ-
ძახა ცოლს; მოგვიმზადე სადილათ ერბო-კვერცხი, ამისთანა ბედ-
ნიერი დღე დაგვიდგა. ცოტა მდოგვიც იყიდე, გუშინდელი ხორ-
ცისთვის! ეხუმრებით ექვსას ოც-და-ათ ფრანკს!

— ნუ თუ თქვენ ისარგებლებთ ამითი? — დაიწყო გაოცებით
ბაპტისტმა.

— მაშ რა გგონია? რა ალალ-მართალი ყოფილხარ, შვილო!
ფული ხომ მიიღე?

— მივიღე, მაგრამ რა ვუყოთ!..

— მომეცი ახლავ აქ.

— აღარა ხუმრობთ?..

— მესმის, გინდა რომ შენც ვარგუნო? მართალი ხარ, თუ
კი ვაპირებდი ზარალი შენთვის გამომერაშია, მოგებაშიაც
უნდა წილი დაგიდო.

— არა, — მკვანთ უპასუხა კოლბერმა, — არ მინდა თქვენი
წილი.

— უფრო კარგი. მამეცი ეგ ფული!

— მე წავალ ბანკირთან, დავუბრუნებ მცტ ფულს დ ბოლიშს
მოვიხდი.

თქვა ეს თუ არა, ყმაწვილი გავარდა კარში და გაექანა სას-
ტუმროსკენ, საცა ბანკირი ცხოვრობდა.

ვაჭარმა გაბრაზებით ველარა აწამარა და დაუწყო ლანძღვა-
განება. მერე რაკი ნახა რომ არავინ არ გამოუდგა დასაქერათ
თითონ მოიტაცა ქუდი და ქუჩაში გავარდა.

სამართლე აქროზე ქვიანა.

— ბანკირი შინა ბრძანდება? ჰკითხა ქაქანიტ ბაპტისტმა
ბიქს, კარში რომ გაულეს.

— ჯერ შინ არის, იცვამს ტანთ და ახლა არავის არ მი-
იღებს.

— უთხარით, რომ ძალიან საჭირო საქმე მაქვს, უთხრა ყმა-
წვილმა ხვეწნით.

— ახლავე წავალ, შევიტყობ მიგიღებს თუ არა, უთხრა ბიჭ-
მა და ვერ შეატყო, რომ ბაპტისტი ფეხ-და-ფეხ უკან მიჰყვა.

— რა ამბავია? ჰკითხა ბანკირმა, რომელიც იდგა სარკის
წინ და ყელსახვევს ისწორებდა.

— დღეს რომ მაუდი იყიდეთ ის ყმაწვილია თქვენთან.

— შინ არ არისთქო, თქვა მოკლეთ ბანკირმა.

— ერთ წუთას გამიგონეთ, ორი სიტყვა მაქვს სათქმელი.
წამოიძახა ბაპტისტმა.

— ვინ მოგცა ნება, რომ აქ შემოსულხარ? დაუყვირა ბან-
კირმა—ფული სრულიად მოგეცი, სხვა რა გინდა, გამშორდი!

მაგრამ ბაპტისტი თამამათ წინ წადგა.

— ბოდიშს ვიხდი, რომ ჩემდა უნებლიეთ მოგატყუეთ,
თქვა ყმაწვილმა.—აი, თქვენი ფული, ოთხას ორმოცდაათი ეკიუ.
მაუდი არშინი თუთხმეტი კი არა—რვა ეკიუ ღირდა. თქვენგან
მე მხოლოდ ორას ორმოცი ეკიუ მერგება. გთხოვთ ჩემი ბარათი
დამიბრუნოთ და მე სხვას მოგართმევთ.

— ხომ არა სცდები? დარწმუნებული ხარ მაგაში? ჰკითხა
ბანკირმა ტკბილათ.

— მაუდი ხომ მანდა გაქვთ? იმაზე უნდა ეწეროს № 3.

— სწორეთ აგრვა.

— მესამე ნომერი ღირს რვა ეკიუ, ნამდვილათ ვიცი, მომი-
ტევეთ რომ შეგაწუხებთ. თქვენ რომ ეს შეგეტყოთ, რას იფიქრებდით
ჩემზე.

და ყმაწვილი ის იყო უნდა წასულიყო.

— დამაცა, უთხრა ბანკირმა, იცოდი რომ მე არა გამეგება-
რა მაუდის ამორჩევაში?

— გარწმუნებთ, რომ ეგ მაუდი რვა ეკიუზე მეტი არა ღირს.
ბანკირმა გაიღიმა.

— იცოდი რომ მე არა გამეგებოდარა და ხომ შეგეძლო ეგ
ფული შენთვის შეგენახა?

— მე ვე სულაც ფიქრათ არ მომსვლია.

— რომ მოგვსლოდა ფიქრათ, რას იქმოდნი?

— არც მომივიდოდა ვე ფიქრათ. იქნება ისიც მკითხოთ, მომივიდოდა ფიქრათ თუ არა თქვენ ოთახში რამე, მომეპარა? და ყმაწვილმა გაიცინა.

— მაშ მე რომ გაჩუქო ვე ფული, რომელიც ასე, პატროს-ნურათ დამიბრუნე?

— არ ვიცი რისთვის უნდა მაჩუქოთ? არც ავიღებდი.

— შენ კარგი და პატროსანი ყმაწვილი ყოფილხარ, — თქვა ბანკირმა და ხელი ჩამოართვა — რა გქვიან?

— ბაპტისტ კოლბერი.

— რამდენი წლისა ხარ?

— თუთხმეტისა

— კოლბერი, კოლბერი, — იმეორებდა სენანი, თითქოს რა-ღაც უნდა მოიგონოსო. — შოტლანდიის კოლბერები ნათესავები ხომ არ არიან შენი?

— მე გამოგონია, რომ ჩვენი წინაპრები ერთნი ყოფილან.

— როგორ მოხდა, რომ მამა შენი, მაგისტანა ჩამომავლობის კაცი, ვაჭარი გამხდარა?

— ის სულაც ვაჭარი არ არის. ძალიან ღარიბია და მე დუქანში ამიყვანა ნათლია ჩემმა.

— საბრალო ყმაწვილი, — თქვა თავისთვის ბანკირმა.

— ეტლი მოგართვეს, — მოახსენა მსახურმა.

— მშვიდობით ბაპტისტო, კიდევ გნახა ვ უთხრა გამოთხოვების დროს სენანმა.

ბაპტისტმა ჩაირბინა კიბეზე თუ არა ვიღამაც კისერში სტაცა ხელი.

— საიდან მოდიხარ? — ჰკითხა გააფთრებულმა ვაჭარმა.

— ბანკირ სენანისაგან, — უპასუხა საბრძოლველათ გამზადებულმა ყმაწვილმა

— რა გინდოდა იქ? რისთვის იყავი? — ეკითხებოდა ვახარი და თან კისერში ხელ-მოკიდებული ანჯღღევდა ყმაწვილს.

— მე იმას დავუბრუნე მეტი ფული, აი ჩაიბარეთ ორას ორ-მოცი ეკიუ მათუდის საფასურათ, რამდენიც ნამდვილათ გერგებოდათო.

ყმაწვილმა განგებ გარკვევით დაიძახა რამდენიც გერგებოდათ. ვაჭრის ლანძღვა-გინებას ბოლო არა ჰქონდა. გამწარებული თელიდა თავის დანაკლისს, რომელიც ყმაწვილმა მიაცენა თავის გულ-უბრყვილობით.

— გასწი, თვალით აღარ მეჩვენო! — დაუყვირა ბოლოს ვაჭარმა და გაუშვა ხელიდან ყმაწვილი.

ბაპტისტი მოელოდა ჩხუბს და ლანძღვას, მაგრამ არ ეგონა რომ საქმე ასე გათავდებოდა. დიდხანს ფიქრობდა, ასწონ-დასწონა თავისი საქციელი, მაგრამ სინანული არ შეეტყო და გადასწყვიტა, რომ სხვა ნაირათ ვერ მოიქცეოდა. ნაღვლიანმა და თავ-ჩალუნულმა გასწია თავის დედ-მამასთან.

სნ. წ—სს.

(შემდეგი იქნება)





ა კ რ ო ს ტ ი ს ი

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

ღამითა ცივა, ცაჟინჟელიანობს,
ვენახებშიაც თავდება რთვლები,
იცით, ზაფხული ხომ გაგვეპარა!
ნელ-ნელ სცვივდება ხეებს ფურცლები.
ოჰო, ყურძნებსაც სწურავენ ხალხნი,
ბევრი ექნებათ მაჭარ-ტკბილები.
იმ ტკბილ მაჭრების იმედებითა
სოფლათ ხშირდება ღვინ-ქორწილები!
თუმცა აცივდა, ბუნება სტირის,
ვერ ნავარდობენ ცაში ფრინველები,
ერიდებიან ცისა სიცივეს
აგერა ხეზე შეკრუნჩხულები?!

ა ნ დ ა ს ე ბ ი.

(წარმოდგენილი კ. სეხნიაშვილისაგან).

მეზობელი რომ პურმარილიანი გყავდეს შენ მარილს უნდა
უნაყავდეო.

ვირს ყვირილს ნუ გააჯავრებ, თორემ ვირის ყურები გამო-
გებმისო.

ფეხი ისე გადადგი, რომ თვალში ჩხირი არ მოგხვდესო.



გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი .

(წარმოდგენილი მისგანვე).

გამოცანას მოგახსენებ ჩვენ გაბერილ თხაზედა,
 პირში სული აღარ უდგას ღვინოსა სვამს ძალზედა!

(წარმოდგენილი კ ფრონისპირელისაგან).

ორივე გვერდით მჭრელი ვარ,
 წვერით ვერჭობი გასაგმირავათ,
 ბუდეში ვზივარ, მხოლოთ ამოვალ
 როცა მიწვევენ მესაგმირავათ.

—

ყვაილებს მტერი არის და არაფერს აკეთებსო,
 დათვრება და დაცერცეტობს, თავს მიწაზე ახეთქებსო.

ზ ე ა .

ერთმანეთის სიყვარულში
 ჩვენი ღრონი გავატაროთ,
 თავსა ერთხელ შევიწუხებთ,—
 მაინც კიდევ გავიხაროთ.

ა ნ ა გ რ ა მ ა .

(წარმოდგენილი მ, ლელაშვილისაგან)

პირველს ვლოცულობთ, თაყვანს ვცემთ,
 მშვედობიანის გულითა;
 იგივე კაცის გულშია
 სამშობლოს სიყვარულითა.
 მეორე არის ნადირი,
 დაცემულია სულითა;
 ორივეს ოთხი ასოთი
 დასწერავთ სიხარულითა.

ჩქარა გამოსათქმელი.

(წარმოდგენილი მისგანვე)

პტყელი ტყემლის ტყლაპი გავატყემლ-პტყელ-ტყლაპიანე.

შ ა რ ა დ ა .

(წარმოდგენილი სოლ. გოშაძისაგან).

სიტყვის პირველ მარცვლით ვაძლევეთ
სხვის ძახილზე შორით ხმასა.

მეორე კი მოკლეთ ჰქვიან
შემოკრებილს ერთათ ხალხსა.

მთელი ყველგან უჩინოა,
ვერ მოვაველებთ ვერსად თვალსა;
მით ვსაზრდოობთ, იგი გვაძლევს
სასაცოცხლო ღონე ძალსა.

რ ე ბ უ ს ი

(არმოდგენილი ვ. საყვარელიძისაგან).



ი

თ

უენო

ს

ჯ

პურის
სიძველე



ნ

ანხლი
ანუ?

მ ე

ტ



მ ლ

უ






ე ს , 1000



ს ლ , ნ ჯ

1, მოუხარ- შავი ს



ო ყვავის ნმა , უარი , ე ს ,

ახსნა „ჭეჯილის“ № IX.

აკრესტიხები: 1) ენკენისთვე, 2) შოთა.

გამოცანები: 1) რწყილი, 2) ტიკი.

ზმა: მცხეთა, ვარძია, გელათი, ბოდბე.

ანაგრამა: კუჭი - ჭუკი.

უჯრების ამოცანა:

2	3	1
1	2	3
3	1	2

შარდა: ქაობი.

რებუსი: თავი ბუს უგავს ფეხი ჩალასა, ნახტომი დევის ქა- ლასა.

გამოცანები, ზმა, ანაგრამა და უჯრების ამოცანა ახსნა თფი- ლისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლემ არჩილ გულისაშვილმა.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წყნეთლასა.

საქართველო ნახატებიანი ჟურნალი

„ქ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მეთერთმეტი

კამოვა 1900 წელსაც თუეში ერთხელ იმავე პრეზ-
რამით, როგორცაჲ აქამდის.

ჟურნალი „ქეჯილი“ მიღებულია თფილისის საე-
ზარქო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისგან
სასწავლებლის სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ქეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს
4 მან. თფილისს გარეშე გავზავნით 5 მან. ცალკე ნო-
მერი 50 კახ.

ხელის მწერა შეიძლება მხალთა წლით და ნახე-
ვარ წლით.

ხელის მწერა მიიღება:

- 1) თფილისში— „წერა-კითხვის კამ. საზოგადოე-
ბის“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор.,
№ 101), და თუთ „ქეჯილი“-ს რედაქციაში (Арти-
ллер. ул. № 5, возле Кадетского корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію
грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*